# საქართველოს რესპუბლიკა



დაარსებულია 1918 წელს.



შაბათი, 16 აპრილი, 2011 წელი.

№71 (6682)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



## გილოცავთ ბზობას, ლაზარეს შაბათს და ქართული ენის დღესასწაულს!



## „აფხაზეთის აღიარებისთვის პოლიტიკური გარემო იცვლება და თბილისს ამის შეჩერება არ ძალუძს“ ②

## ვაი და უი არგვეთულად, ანუ პრეზიდენტმა ოპოზიცია „გაწურა“, წყალი კი მაინც არ მოდის ③



## ჯილდო „ვეჩერნი ტბილისს“



### მილოცვა კოლეგებს

გამომცემლობა „აქტუალიდადმა“ თურქეთის ქალაქ სტამბოლში 26-ედ მოაწყო ამავე სახელწოდების ჟურნალის საერთაშორისო პრიზებით დაჯილდოების ცერემონია. ამასთან დაკავშირებით მადრიდიდან თბილისში გამომცემლობის პრეზიდენტის ფრანსისკო აბელოს დეპეშა მოვიდა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ სასელექციო კომიტეტის გადაწყვეტილებით „ოქროს არწივის“ საერთაშორისო პრემია პრესტიჟისა და ხარისხისთვის“ ქართულ რუსულენოვან გაზეთს „ვეჩერნი ტბილისს“ მიენიჭა.

„მსოფლიოში აღიარებული ეს პრემია 1995 წელს შეიქმნა საუკეთესო ბიზნესმენთა გამოსავლენად, რომლებიც ეკონომიკის მამოძრავებელი არიან და ბაზარზე დომინირებენ. ეს ბაზრები მათ შორის ყველაზე კვალიფიცირებულებს მოითხოვს. თქვენ ის ხალხი ბრძანდებით, ვისაც ამნაირი წარმოების რუდუნებით, ქმედითად და ხარისხიანად შეგიძლიათ, ვინაიდან იცით, რომ წარმატების გასაღები — მომხმარებელია.

...ჩვენს ორგანიზაციას პატივი აქვს მიულოცოს თქვენს დიდებულ კოლექტივსა და ყველა ავტორს ამ მნიშვნელოვანი პრემიის მინიჭება“, — ნათქვამია, კერძოდ, გამომცემლობის პრეზიდენტის ფრანსისკო აბელოს დეპეშაში.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის კოლექტივის წევრები გულითადად ვულოცავთ კოლეგებსა და მეგობრებს საერთაშორისო აღიარებას, სოლიდური „ოქროს არწივის“ პრესტიჟისა და ხარისხისთვის“ პრემიის მინიჭებას და კვლავაც წარმატებებს ვუსურვებთ ქართული ჟურნალისტიკის საკეთილდღეოდ.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

## ⑤ საღლაა ქართული შაქარი, ქართული ფოლადი, ქართული პური, ქართული, ქართული...

## „გამოსერიალებული“ საქართველო სუბტიტრების ტყვეობაში! ④



## საქართველოს დღესაც ესაჭიროება მისი „განწირული სიტყვა და ღრმა აზრი...“ ⑥



## შეუმცირდება კი იუსტიციის მინისტრს უფლებები? ②

## ⑤ ვინ ავსებს სარეკლამო განძეულის ზარდახშას?

## რატომ თევზმა არ მოგვწამლოს?.. ⑪

◎ მებრძოლი სეპარატიზმი

# „აფხაზეთის აღიარებისთვის პოლიტიკური გარემო იცვლება და თბილისს ამის შეჩერება არ ძალუძს“

**კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევის ცენტრის დირექტორ გოგი ხუციშვილის ინფორმაციით, „აფხაზეთის საგარეო ეკონომიკური კავშირები ფართოვდება, რაც რეგიონის აღიარებისთვის პოლიტიკურ გარემოს ცვლის“.**

როგორც „პირველს“ ხუციშვილმა განუცხადა, „საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებაში არსებული ევროპული სტრატეგია – „ჩართულობა აღიარების გარეშე“ აფხაზეთში სამრეწველო-ეკონომიკური თუ სოციალური პროექტების განხორციელებას მხოლოდ პოლიტიკური აღიარების გარეშე სრულიად ლეგიტიმურს ხდის“.

„აფხაზეთის საგარეო ეკონომიკური კავშირები ფართოვდება. ამ მიმართულებით მეტი მოძრაობა შეინიშნება და ებრაული და გერმანული კომპანიების წარმომადგენლების აფხაზეთში ვიზიტები გამონაკლისი არაა. აფხაზეთში საქართველოს მეგობარი ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან კერძო ინვესტორებიც იყვნენ ჩასულები და იქ მიწის შეძენაზე მოლაპარაკებები გამართეს. ეს პროცესები რეალურად მიმდინარეობს. რამდენად შეიძლება, ამან პოლიტიკური შედეგები გამოიწვიოს, მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ როგორც წესი, ეკონომიკური ურთიერთობები პოლიტიკური დამოკიდებულების შეცვლას იწვევს. არ ვამბობ, რომ ამ კავშირებს აფხაზეთის აღიარება მოჰყვება, თუმცა ფაქტია, რომ აღიარებისთვის პოლიტიკური გარემო იცვლება“, – განაცხადა ხუციშვილმა.

ამასთან, კონფლიქტოლოგი მიიჩნევს, რომ „საქართველოს ხელისუფლებას აღნიშნული პროცესების შეჩერება არ ძალუძს და მხოლოდ საპროტესტო ნოტები შეუძლია, დააგზავნოს“.

„თუ რომელიმე სახელმწიფომ გადაწყვიტა, საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან ურთიერთობები დაამყაროს, ოფიციალური თბილისი ამას წინ ვერ აღუდგება. მაგალითად, თურქეთი რამდენიმე წელია, თავისუფლად ვაჭრობს აფხაზეთთან და საქართველოს ხელისუფლება ამას ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან აპროტესტებდა, თუმცა ვერაფერი შევცვალეთ“, – დასძინა ხუციშვილმა.



შეგახსენებთ, რომ ებრაელები მზად არიან, აფხაზეთს სამხედრო ტექნოლოგიები მიაწოდონ. აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშსა და ებრაულ ჰოლდინგ „Global CST“-ს ხელმძღვანელობას შესაბამისი მოლაპარაკებები 13 აპრილს მოსკოვში გაიმართა, რის შემდეგაც ებრაული დელეგაცია აფხაზეთში გაემგზავრა, სადაც 15 აპრილამდე დარჩება.

გარდა ამისა, მიმდინარე კვირას აფხაზეთში გერმანელი ბიზნესმენების დელეგაცია იმყოფებოდა და მათ ოკუპირებულ რეგიონში კონკრეტული პროექტების განხორციელების მზადყოფნა გამოთქვეს.

გასულ კვირას კი აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში, მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ, პირველად ვიზიტით თურქეთში იმყოფებოდა.

აფხაზური მედია ამ ყოველივეს „საერთაშორისო ასპარეზზე გარღვევად“ და „ისტორიულ მომენტად“ აფასებს.

**„პირველი“**

◎ პარტიებსა და მოძრაობებში

# ახალ მემარჯვენეებს ეჭვი მართებულად მიაჩნიათ



**ახალი მემარჯვენეების ოფისში პარტიის გენერალურმა მდივანმა, თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ჩვენი თბილისის“ თავმჯდომარემ დავით საგანელიძემ პრესკონფერენცია გამართა, რომელიც საქართველოს საგარეო ვალებს ეძღვნებოდა. ახალი მემარჯვენეები არ იზიარებენ მთავრობისა და პრეზიდენტის „აღფრთოვანებას“ 500 მილიონი ევროობლიგაციების ახალი ვალით გამოშვების გამო, და თვლიან, რომ ხელისუფლება ზედმეტად თავისუფალი და უპასუხისმგებლოა საგარეო ვალების აღების მხრივ. მემარჯვენეების აზრით, კრედიტის აღების პროცესი გამჭვირვალე არ არის.**

2008 წელს ევროობლიგაციების პირველი ემისია 500 მილიონი დოლარის ოდენობით განხორციელდა, რომელიც თითქოს საქართველოში გაზსაცავის მშენებლობისა და ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანისთვის გამოიყო. თუმცალა აღნიშნული თანხა ისევ პირადი მიზნებისთვის დაიხარჯა. ბევრად მეტ საეჭვო გარემოებას მოიცავს ძველი ვალის რეფინანსირება 2013 წლის ნაცვლად 2011 წელს ვალის გასტუმრება ახალი ვალის აღებით. პრემიერ-მინისტრის მტკიცებით, ქვეყანა ორჯერ მოგებული რჩება, რადგან ახალი ვალი 7,5 პროცენტის ნაცვლად 6,9 პროცენტით ავიღეთ. მისი ყოველწლიური 6,9-პროცენტიანი მომსახურება კი საბოლოო ჯამში ქვეყანას 345 მილიონი ამერიკული დოლარი დაუჯდება. ახალ მემარჯვენეებს საფუძვლიანად მიაჩნიათ საზოგადოებაში და მედიაში გაჩენილი ეჭვი იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება შესაძლოა წინასაარჩევნოდ ახდენს თანხების აკუმულირებას. ამ ეჭვის გასაქარწყლებლად ახალი მემარჯვენეები მთავრობას ანგარიშის ჩაბარებას სთხოვენ. როგორც დავით საგანელიძემ განაცხადა, მომავალმა თაობამ „უვალო“ ქვეყანაში უნდა იცხოვროს. მით უმეტეს, როცა აღებული კრედიტები არამიზნობრივად იხარჯება.

**ირინა ოზოლაშვილი**

◎ SOS!

# გაეროს ჰუმანიტარულ მისიებში მუშაობა სახიფათო ხდება

**გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს ინფორმაციით, ჰუმანიტარული დახმარების მისიებში ყოველწლიურად საშუალოდ 100 ადამიანს კლავენ. როგორც მოხსენებაშია ნათქვამი, უფრო და უფრო სახიფათო ხდება გაეროს ჰუმანიტარულ მისიებში მონაწილეობა.**

– კონფლიქტის ზონებში უფრო და უფრო რთული ხდება ჰუმანიტარული მისიების ჩატარება, რადგან მისიებზე ხშირია თავდასხმები. ავღანეთი, სომალი და სუდანი ყველაზე არასტაბილური ქვეყნებია მისიებისთვის. ყველაზე სახიფათო ქვეყანა ამ სამს შორის ავღანეთია. პირველ აპრილს გაეროს ეგიდით მომუშავე შვიდი ადამიანი მოკლეს, როდესაც გაბრაზებული მოსახლეობა მათ თავს დაესხა, – აღნიშნულია მოხსენებაში.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ როდემდე?

# ამერიკისგან კიდევ მილიონობით ლარს ვიღებთ

**საქართველო წელს აშშ-ის მთავრობისგან სავარაუდოდ 87 მილიონ აშშ დოლარს მიიღებს. ბიუჯეტით გათვალისწინებული საგარეო დახმარებების საკითხი კონგრესის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში განიხილეს.**

კონგრესმენებმა სხდომაზე სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი დანილე როსენბლუმიც მიიწვიეს, რომელიც ევროპისა და ევრაზიის საკითხებს კოორდინირებას უწევს. შეხვედრის მონაწილეებმა საქართველოს ქვეყნის წარმატებული მოდელი და ამერიკის თანამოაზრე უწოდეს და თქვეს, რომ შტატების მიერ ამ ქვეყანაში ჩადებულ ინვესტიციებს კონკრეტული შედეგები მოაქვს.

კონგრესის წევრებმა განსაკუთრებული აქცენტი 2008 წლის შემდეგ გამოყოფილ ფინანსურ დახმარებებზე გააკეთეს. კონგრესმენთა აზრით, დახმარება მომავალშიც უნდა გაგრძელდეს, რადგან ქვეყანაში გადარიცხული თანხა დემოკრატიული რეფორმების გატარებაზე სწორად და მიზანმიმართულად იხარჯება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ სამეგრელო

# ლუკმაპური – სააღდგომოდ!

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ამ დღეებში თავის სხდომაზე დაამტკიცა ერთი მეტად „მნიშვნელოვანი“ საკითხი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლებისთვის, სააღდგომო დღესასწაულთან დაკავშირებით, ერთი თვის ხელფასის ოდენობით ფულადი დახმარების გაცემის თაობაზე“. საკრებულოს დეპუტატებიდან (34 – ნაცმოძრაობიდან, 7 – ოპოზიციიდან) წინააღმდეგი გამოვიდნენ „თავისუფალი დემოკრატი“ – გია ალასანია და „სამართლიანი საქართველოს“ წარმომადგენელი ლოთი ქობალია.**

> **გია ალასანია – „ზუგდიდში ბიუჯეტის თანხები არამიზნობრივად იხარჯება“**

საქართველოს „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის ირაკლი ალასანიას ბიძაშვილი გია ალასანია, რომელმაც ერთადერთმა არ მისცა ხმა ახალი წლის წინა დღეებში ღამის 10 საათზე მიღებულ ზუგდიდის ბიუჯეტს, თავის აღშფოთებას და გულისწყრომას ვერ მალავს. „ჩემთვის გაუგებარია რას ნიშნავს საჯარო მოხელეებისთვის ფულადი დახმარება, მიუხედავად ჩემი კატეგორიული მოთხოვნისა, ციფრებს არ გვისახელებენ“. შეიძლება რომელიმე საჯარო მოხელეს მართლაც სჭირდებოდეს დახმარება, მაგრამ ყველას ერთად როგორ გაუჭირდა? გაიძახიან – ეს ასე გვქონდა გათვალისწინებულიო. პრემიების გაცემა რომ დაერქვათ, კიდევ რა უშავდა, მაგრამ ერთი თვის ხელფასების გაცემა ეს ხომ აბსურდია. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ალექსანდრე ქობალიას, რუსლან კილასონიას და სხვებს, თურმე დახმარებები სჭირდებათ, – აცხადებს გია ალასანია.

გია ალასანიას განმარტებით 2010 წელს მარტო კულტურულ-სპორტული ღონისძიებებისთვის დაიხარჯა 533000 ლარი. „კომისიის სხდომაზე ანგარიშის მოსმენისას წარმოადგინეს ხარჯთაღრიცხვა, რომ ნახევარზე მეტი არაადეკვატურად იქნა დახარჯული. კონკრეტულად, 26 მაისს ვითომცდა ჩატარდა დევნილების მხარდამჭერი აქცია – „მუსიკა ათავისუფლებს“, – ეს იყო ყოვლად უსახური აქცია, რომელიც არანაირად არ შეესაბამება დევნილების პრობლემებს. შოუბიზნესის წარმომადგენლები, რომლებიც ჩამოდიან ზუგდიდში, საკუთარ პირობებს უყენებენ ადგილობრივ ხელისუფლებას და ხელისუფლებაც აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს, რის გამოც ბიუჯეტიდან არაადეკვატურად იხარჯება თანხები“, – თქვა გია ალასანიამ.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის სახელფასო ფონდი, საქონლისა და მომსახურების ხარჯები 2011 წლისთვის შეადგენს 4232000 ლარს, მაშინ, როდესაც საკუთარი შემოსავლები 3500000 ლარია და როგორც გია ალასანია აცხადებს, დანარჩენი მოდის ცენტრიდან და ცენტრი კარნახობს – სად და რაში დახარჯოს ბიუჯეტის თანხები, ამ დროს რომელ ადგილობრივ თვითმმართველობაზეა ლაპარაკი?

ასე რომ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის წარმომადგენლებს ბედნიერი აღდგომა კი გაუთენდებათ, მაგრამ რა ქნან იმ კატეგორიის ადამიანებმა, რომელთაც ლუკმაპურის საშოვნელი თანხებიც არ გააჩნიათ.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი.**

◎ ოპოზიცია აფასებს

# შეუმცირდება კი იუსტიციის მინისტრს უფლებები?

**საპარლამენტო უმცირესობის შეფასებით, ხელისუფლება იუსტიციის მინისტრის უფლებამოსილების შემცირებასთან დაკავშირებით ევროსაბჭოს რეკომენდაციას გაითვალისწინებს.**

როგორც ჟურნალისტებს უმცირესობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ განუცხადა, არ არის გამორიცხული, რომ ახლო მომავალში პარლამენტში ინიცირებული იქნება საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც იუსტიციის მინისტრს პრეზიდენტთან და სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირთა სამართლებრივი დევნის უფლებას შეუზღუდავს.

– გარკვეული კონსულტაციების შედეგად, მაქვს საფუძველი ვივარაუდო, რომ ამ წინადადებას მმართველი გუნდი გაიზიარებს და ახლო მომავალში შესაბამის საკანონმდებლო წინადადებას წარმოადგენს, – დასძინა თარგამაძემ.

მისი განმარტებით, დღეს არსებული მოდელი ჩრდილო-სკანდინავიურ სახელმწიფოებში დამკვიდრებული პრაქტიკაა, თუმცა ევროსაბჭოს განვითარების ტენდენციისა და მიდგომების გათვალისწინებით, ორგანიზაცია საქართველოს ხელისუფლებას აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების და სამართლებრივი რეგულაციის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებისკენ მიუთითებს.

# გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

მოდელირებული წყალსადენი

# ვაი და უი არგვეთულად,

## ანუ პრეზიდენტმა ოპოზიცია „გაწურა“ წყალი კი მაინც არ მოდის



**უკვალოდ არაფერი ქრება. არც მასობრივი მისტიფიკაციები. ისინი ადამიანთა მახსოვრობაში მაინც მყარ კვალს ტოვებენ.**

2 აპრილს სინოპტიკოსების დაბეჯითებული პროგნოზის მიუხედავად, საცაა ქარიშხალი ამოვარდება, შეიძლება მთელი ზემო იმერეთი შავ ზღვაში ჩახვეტოს და სახლებიდან ცხვირი არ გამოყოთო, პრეზიდენტს მუხრან მაჭავარიანის „ხსოვნის პატივისცემამ, სოფელ არგვეთის მცხოვრებთა წინაშე მოვალეობის გრძნობამ“ თავი გადაადებინა და იმ მეორედ მოსვლის წინ არგვეთში ჩააფრინა.

პრეზიდენტი იყო ამაყი და ბედნიერი, რადგან „გარდაცვალებამდე მუხრანმა დაგვავალა და შეგვპირა, რომ გარშემო სოფლებში ხალხისთვის სასმელი წყალი გაგვეყვანა“ და აი აღსრულდა: ამ სოფელში უკვე 1000-ზე მეტ ოჯახს სასმელი წყალი აქვს, წყლის გაყვანა მილიონ ორასი ათასი დაჯდა.

„კიდევ ერთი პირობა შესრულდა, რომელიც მივეცით მაშინ, როდესაც მას ვესაუბრებოდი, აქვე გვერდზე სოფელში (სოფ. პერევი – ს.ა.) იდგნენ დამპყრობლები და ისინი გავიდნენ. ასევე გავლენ დანარჩენები საქართველოდანაც ეს მთავარი ჯერ ისევ შესასრულებელი გვაქვს“.

ანუ ბატონ პრეზიდენტს პოეტისთვის პირობა მიუცია და აღუსრულებია კიდეც: რუსი დამპყრობლები პერევიდან გაუყვანია (?ა, ახლა მთავარი დანაპირების შესრულებაზე მუშაობს – დანარჩენებიც ალბათ მალე გავლენ მთელი საქართველოდან!

პერევიდან მტრის ჯარი გაიყვანა, არგვეთაში წყალი შეიყვანა... მაგრამ ახლა ირკვევა, რომ არგვეთაში ონკანიდან მოთქრიალე ნაკადის პეშვით შესმა მისტიფიკაცია ყოფილა. თურმე ონკანში ავტოცისტერნებით ამოტანილი და შემკრებ ჭაში საგანგებოდ ჩასხმული წყალი მოდიოდა საჩვენებლად.

ერთი სიტყვით, პოტიომკინის სოფელი გვიხილავს.

თითქოს რაღაც ჩამწყდა ტელემაყურებლების, პრეზიდენტის სიტყვის მოსასმენად საგანგებოდ მოყვანილი არგვეთელებისა და თვით პრეზიდენტის გაბითურების გამო. მე რომ მის ადგილზე ვიყო, ამ სპექტაკლის ორგანიზატორებს წყლის დალევას არ ვაღირსებდი.

არადა, პრეზიდენტმა მგზნებარე სიტყვა-პროგრამა წარმოთქვა! ჯერ მარტო დასაწყისში თამარ კვესიტაძის ძეგლის პროექტის ხალხისთვის გაცნობა რად ღირდა, რომლის არსიც თურმე ის არის, რომ „დაჩეხილი, განადგურებული, დაჭრილი ქართველები ყველაფრის მიუხედავად დგებიან და აგრძელებენ მოძრაობას წინ. ეს არის თვით იდეა საქართველოსი – როგორც არ უნდა დაგვანაწევრონ, როგორც არ უნდა დაგვჩეხონ, ჩვენ მაინც დავდგებით ფეხზე და განვაგრძობთ წინსვლას“.

მაგრამ რად გინდა, თურმე „როგორც ყოველთვის, თბილისის ცენტრში მყოფმა კრიტიკოსებმა ამ ქანდაკებას ცხვირი აუწიეს“, მაგრამ ვინც რა უნდა თქვას, ეს ძეგლი მაინც დაიდგმება საქართველოს რომელიმე ქალაქშიო, – მუქარიანი მესიჯი გაუგზავნა „თბილისელ კრიტიკოსებს“ პრეზიდენტმა. მე მათი ასეთი ქმედება არ მიკვირსო, – კლასიკაში გადავარდა მიხეილი, რადგან ეს ჩვენი ძველი ჩვევაა – თუ ვინმე გამოჩნდა ჩვენში განსაკუთრებული და ნიჭიერი, ჩვენ თვითონ უნდა გადავეკიდოთ, თავად უნდა დავუპირისპირდეთ და თავადვე დავკორტნოთო. გახსოვთ „დიდოსტატის მარჯვენიდან“: „მუდამ ასე იყო, პიპა, ჩვენს სიმცირეს მივტიროდით მუდამ, მაგრამ დიდკაცი თუ გამოგვერია, ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“. ანუ რეაქციონერი თბილისი გზას ვერ გადაუღობავს მაცოცხლებელი სიოს ქროლვასო (ისე, უსაფუძვლოდ დაკორტნილში და დაპირისპირებულში აშკარად საკუთარი თავი შემოგვატირა).

მაგრამ კვესიტაძე და ჩვენი ნიჭიერება სულაც არ ყოფილა პრეზიდენტის სიტყვის ბალავარი. მთავარი შემდეგ ითქვა.

პრეზიდენტმა ოპოზიციას ცხენდაცხენ შემოუქნია და მანდიკურად გაკვეთა. ოღონდ ძალიან გაფაციცებული უნდა ყოფილიყავი, რომ ორატორი რომელიმე თემურ შაშიაშვილში ან სულაც ნინო ბურჯანაძეში არ აგრეოდა თავისი მჭევრმეტყველების პათოსითა და მისამართით.

მოგეხსენებათ, საგაისო არჩევნებისთვის მიმდინარეობს მზადება და პრეზიდენტისა თუ ნაციონალური ლაშქრის არა მარტო მთელი საქმიანობა, უბრალოდ ჩანაფიქრიც კი ამ დიადი მოვლენისადმია მიძღვნილი. როგორც ძველ ბედნიერ დროში იტყოდნენ, „მთელი ძალით და ყველა საშუალებით ვურტყათ, ამხანაგებო!“

ურტყამენ კიდეც.

აი გამოვიდა არგვეთაში პრეზიდენტი, ასე ვთქვათ, წყლის ზეიმზე და სახეზე ზიზღიანი ღიმილით განაცხადა, რამდენიმე რადიკალური პარტიის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ რაიონებს არ ჰყავდეთ საკუთარი წარმომადგენლები პარლამენტშიო. და იქვე განმარტა, თუ რატომ უნდათ ამ მზაკვარ პარტიებს ეს მტრული საქმე – იმიტომ, რომ პარტიამ გადაწყვიტა ვინ უნდა იყოს მათი წარმომადგენელი პარლამენტში. ამ მოსამზადებელი ეტაპის შემდეგ პრეზიდენტმა დასვა მთავარი კითხვა-გამოცანა: „რით არის რომელიღაც ადამიანი, რომელიც ბოლო 20 წელიწადია გამოდის ტელევიზიით და თავს ასაღებს პარტიის ლიდერად, კოტე აბაშიძეზე (პრეზიდენტმა მის წინ მსმენელის ამპლუაში მჯდომ სიმპათიურ, ჭარმაგ ადგილობრივ მცხოვრებზე მიუთითა) ჭკვიანი, რომელსაც პოლიტიკასთან საერთოდ არა აქვს შეხება და ხვდება, რომ ეს სისულელეა?

აქ პრეზიდენტთან ერთად უნდა ამოვისუნთქოთ და შემდეგ ეტაპზე გადავიდეთ. ბ. მიხეილმა მოხდენილად გაიხსენა, თავისი შინაარსით დაყურსული მაჟორიტარობა თბილისის ცენტრალურ რაიონში, როცა „ზუსტად ვიცოდი, რომ ანგარიშვალდებული ვიყავი არა პარტიული ლიდერების წინაშე, არა რომელიმე მეგობრის წინაშე, არამედ ხალხის წინაშე, რომელმაც ამირჩია. ეს ხალხი მოვიარე და, ამ ადამიანებს თვალებში ჩავხედე. სწორედ ისინი გამაგდებდნენ შემდეგ არჩევნების დროს, თუ მათ დავალებას არ შევასრულებდი.

აქ ძალაუნებურად ინტელიგენციის წინაშე ნიკიტა ხრუშჩოვის ერთი სკანდალური გამოსვლა გაგახსენდება, რომელსაც წყლის წვეთივით ჰგავს მ. სააკაშვილის არგვეთული წიაღსვლა: „მე რომ ჩემი სამუშაო ვერ შევასრულო, სამსახურიდან მომხსნიან!“ თითქოს სულ „ხალხზე“ იყო ნიკიტას ყოფნა-არყოფნა დამოკიდებული (ისე, ბოლოს მაინც გააგდეს, თუმცა არა „ხალხმა“, ხალხს მაშინ ვინ რას ეკითხებოდა).

პრეზიდენტი გულდაწყვეტილია: ერთი და იგივე 30-40-50 კაცი, რომლებსაც ბოლო 20 წელია ტელევიზიაში ვხედავთ, ახლა იმისთვის იბრძვის, რომ ერთმანეთში გადაინაწილოს ყველაფერიო. არადა, „ისინი არც მიწას ამუშავებენ, ტრაქტორს არ ატარებენ, ხალხისთვის სასარგებლო რაიმე საზოგადოებრივ საქმეს არ აკეთებენ, ეს ადამიანები საღამოობით წავლენ ტელევიზიაში და ტელეეთერის მეშვეობით დაგვარიგებენ ჭკუას“.

აი, თურმე რატომ ასე დამთხვეულივით მოაჯდება ხოლმე ბატონი მიხეილი სადმე ჩასვლის უმალ ნებისმიერ სატრანსპორტო საშუალებას – ტრაქტორს, ბულდოზერს, კატარღას, თვითმფრინავს, ე. ი. თურმე საზოგადოებრივ სასარგებლო საქმეს ასრულებს, სულ უსაქმურობა რომ არ დასწამონ.

პრეზიდენტი მჭევრმეტყველებამ გაიტაცა და ნახტომმა უმტყუნა. ვითომ ოპოზიციური პარტიების შარჟული წარმოსახვისას ფაქტობრივად ნაციონალური პარტია წარმოაჩინა. აბა ყური გაამახვილეთ: იგივე 30-40 კაცი ბოლო 20 წელია ჭკუას არიგებს მთელ საქართველოს და მერე ამბობს: რაში გვჭირდება რაიონებს ვკითხოთ, თუნდაც თბილისის რაიონებს ან რუსთავის, საჩხერის, ან არგვეთას მოსახლეობას, ვინ უნდა წარმოადგინოს ისინი ან ვინ უნდა დააკომპლექტოს საქართველოს მთავრობა? აქვე შევიკრიბებით ვინმე გიო (ვანო მერაბიშვილი?), დათო (გიგა ბოკერია?), ნიკა (ზურაბ ადეიშვილი?) და ა. შ. (პეტრე ცისკარიშვილი, გიგი უგულავა, პალიკო კუბლაშვილი, აკაკი მინაშვილი, გოკა გაბაშვილი, დავით დარჩიაშვილი და სხვ.), თავად გადავწყვეტთ და გადავინაწილებთ ადგილებს და ჩვენს ბრძნულ გადაწყვეტილებებს შემდეგ შევატყობინებთ ხალხს. თორემ მინისტრებს, პრემიერ-მინისტრს შეარჩევს ერთი და იგივე 30-40 კაცი, რომელიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, მაქსიმუმ რუსთაველზეა ნამყოფი და აქვე გვერდით ქუჩაზე – ნაქეიფარი.

მოკლედ, ასე „მეთოდურად, ფაქტებით“ ურტყა ოპოზიციას, ოღონდ ამას ისე „მოქნილად“ იქმდა, რომ მკითხველი, ერთი ცნობილი საბჭოთა სიმღერისა არ იყოს, „ვამბობთ პარტიას და ვგულისხმობთ ვლადიმერ ლენინს“, უმალ, ბუნებრივად, ნაცმოძრაობის მოძალადურ გაუქანებელ მმართველობას გულისხმობს.

შემდეგ ეს დოქტრინა, ბატონმა მიხეილმა უფრო მიმზიდველად წარმოუდგინა ხალხს: აუცილებლად უნდა გამოჩნდნენ ახალი სახეები. თუ ამჩნევთ, ჩვენ ამ მხრივ სულ ექსპერიმენტებს ვატარებთ... მთავრობაში მუდმივად მოგვყავს ახალი ხალხი. თუ გვინდა წინ წავიდეთ, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების თითოეული წევრის აზრი უნდა გავიგოთ. დემოკრატია მუშაობს ასე, დემოკრატია არ არის ერთი და იგივე 100 ადამიანის მმართველობა, რომელიც თავს ელიტად მიიჩნევს და სხვებს ზემოდან ქვევით უყურებსო.

რომელ „ახალ სახეებზე“ ამბობს ბატონი პრეზიენტი? ეკა ტყეშელაშვილზე ხომ არა, კარუსელივით რომ ატრიალებენ და ყველა თანამდებობა შემოაჭენეს? ან თონიდან პირდაპირ მინისტრად შემოგდებულ ვერიკოზე, ან სასაცილო კვეზერელზე?..

ღმერთმანი, პრეზიდენტის არგვეთულ პერიპეტიებს არ გავიხსენებდი (განა ნაკლებად საოცარ-სასაცილო იყო ყვარლის ტბის ან თუნდაც წყალტუბოს მღვიმის თავყრილობათა და სხვა პასაჟები?), მაგრამ ამ დღეებში ტელეეკრანებზე კვლავ გამოჩენილმა გამშრალმა ონკანებმა გამახსენა და გამაბრაზა.

თუ პრეზიდენტმა იცოდა, რაც ხდებოდა და მაინც დათანხმდა, ვაია.

თუ არ იცოდა და მოუწყვეს – უი. ერთი სიტყვით, ორივე შემთხვევაში ვაი და უი გვჭირს! წყალი კი, როგორც გვითხრეს, არგვეთაში დღემდე არ მოდის!..

**სანდრო ალექსიძე**

ინფორმაცია

## სეპარატისტებს „ნეიტრალური პასპორტები“ არ სურთ




საქართველოს მიერ გადადგმულ მორიგ პოპულისტურ ნაბიჯს უწოდებს სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. პრემიერ-მინისტრი სერგეი შამბა საქართველოს ინიციატივას, რომლის მიხედვითაც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებისათვის „ნეიტრალური პასპორტების“ გაცემა უნდა დაიწყოს, რომლებზეც სახელმწიფოებრივი სიმბოლიკა დატანილი არ იქნება.

— არავინ აქ ამ პასპორტს არ აიღებს. ჩვენ უკვე გვაქვს შეთანხმება რუსეთთან ორმაგი მოქალაქეობის შესახებ, მოქალაქეებს კი რუსული პასპორტებიც აქვთ და აფხაზურიც. ასე რომ, ჩვენ როგორმე ამ ქართული დოკუმენტების გარეშეც გავძლებთ, — აცხადებს სერგეი შამბა.

მისივე აზრით, თბილისის ეს წინადადება მორიგი „ნაბოდვარი იდეაა“ რომელიც არავითარ შედეგამდე არ მივა.

საქართველოს ამ ინიციატივას ასევე ნეგატიურად ხვდებიან ოსი სეპარატისტები. კერძოდ, ოს სეპარატისტთა ლიდერის ე.წ. რწმუნებულის მოადგილე პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში მერაბ ჩიგოევი აცხადებს, რომ „საქართველოს მხრიდან რა ნაბიჯებიც არ უნდა გადადგას, არავინ სამხრეთ ოსეთში არ დაინტერესდება და მით უფრო არ ისარგებლებს.

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ გამოთაყვანება

# „გამოსირიალებული“ საქართველო სუბტიტრების ტყვეობაში!

**შეიძლება ითქვას, ეს ერთი მედლის ორი მხარეა. ჰოდა, ორივეზე ცალ-ცალკე, ბოლოს მაინც – გაერთიანების პერსპექტივით.**

დღე ერთია და საქართველოს ე.წ. ნაციონალური არხებით, დილიდანვე იწყება, ძირითადად სამხრეთამერიკული სერიალების, ე.წ. „საპნის ოპერების“ ალლუმი. აგერ ახლა, წერილზე მუშაობისას, სპეციალურად ჩავიხედე პროგრამაში („იმედი“, „მზე“, „აჭარა“, „საზ. მაუწყ.“ „რუსთავი-2“ძ და ზუსტად 20 სერიალი დავთვალე. საიდანაც ლომის წილი, ანუ შვიდი სერიალი „რუსთავი-2“-ის ეთერში გადის. ამას დავუმატოთ ვანოს, ნანუკას, ქლაბ თუ კომედი შოუები, ანუ, ზოგადად „ცხოვრება რომ მშვენიერია“ იმიტომ, რომ „მიშა მაგარია“, ან პირიქით – „მიშა როა მაგარი“, იმიტომ არის „ცხოვრება მშვენიერი“ და... მიხვდებით, თუ რასთან გვაქვს საქმე.

**მიმდინარეობს ერის გამოთაყვანების მიზანმიმართული, არცთუ წარუმატებელი პროცესი! თანაც, ყოველგვარი შაბათ-კვირის, გამოსასვლელი დღეების გარეშე, ლამის სადღეღამისო რეჟიმში.**

დღეს პანდემიად ქცეული სერიალების პირველი ბაცილა, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს შემოვიდა საქართველოში. მაშინდელი საკავშირო ტელევიზიით გვიჩვენეს სრულიად უწყინარი ბრაზილიური სერიალი, ულამაზესი მონა ქალის, იზაურას შესახებ. საიდანაც დღეს, მაშინ საბჭოთა მოქალაქეებისთვის უცხო სიტყვა – ფაზენდა დამამახსოვრდა და კიდევ, ენაკვიმატი ქუთათურების შეთხზული ანეკდოტი – ჭიჭიკია, რავა ხარ ბიჭო? – იზაურა მყავდეს კარგად და ჩემს თავს რას დევეძებ!..

„პერესტროიკის“ დროს თუ რამის გარდაქმნა დაიწყო, მხოლოდ მორალისა და ზნეობისა, რეალურად კი მართლაც მშვენიერი ცხოვრება დავანგრიეთ, როცა სახლებში რადიატორები თავისით ცხელდებოდა. ახლა რომ სასმელი წყალიც კი „ოთუზბირი“ გაგვიხადეს, მაშინ ცხელი წყალიც „მოთხლიშინებდა“. შუქზე და გაზზე ხომ ლაპარაკიც არ იყო და ეს ყველაფერი სიმბოლურ ბინის ქირაში ჯდებოდა. და ჰოი, საკვირველებავ! – დღევანდელივით არავინ გვამადლიდა! ერთი სიტყვით, მაშინ, როცა მართლაც საამური ცხოვრება უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, პირველი ამერიკული სერიალიც გამოჩნდა. რომლის მთავარმა გმირმა, ტეხასელი მილიონერის შვილმა ოჯახს ამაყად განუცხადა – მე ცისფერი ვარ!

ახლა? დღევანდელ სერიალებთან შედარებით, ეს ამბავი მტრედის ღუღუნად ისმის! აბა, ის სერიალი რა „ოპერაა“, სადაც დედა შვილს ქმარს არ წაართმევს და შვილი დედას – კუროს, ან სადაც რძალ-მული ერთად არ ბოზობენ?... და ვინ არიან ამ იდეოლოგიური ექსპანსიის ობიექტები, „მაღალი ხელოვნების“ მომხმარებლები? სოფლად პრაქტიკულად ყველა – დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი. დიდ ქალაქებში კი ძირითადად ქალბატონები, ჩვენი დედები, დები თუ ცოლები. უმეტესად „ბალზაკის ასაკისანი“.

ზოგადად ქართველი ქალი მენანება, რომ ასე დაუნაგვიანეს გემოვნება მდარე ხარისხის პროდუქციით გლობალისტების იდეოლოგიურმა დივერსანტებმა. დიახ, არ ვაჭარბებ! სერიალებიც გლობალიზაციის პროდუქტია. იგივე „გამოსირიალების“ პროცესი მსოფლიო მასშტაბით მიმდინარეობს. თუმცა, ჩვენ ჩვენი ვიდარდოთ. მენანება ქართველი ქალი, რომელიც ოდითგან არა მხოლოდ იგავმიუწვდომელი სილამაზით ხიბლავდა მსოფლიოს, არამედ მაღალი ინტელექტით და დახვეწილი გემოვნებითაც!

თუმცა, ბალზაკი 30 წლის ქალებზე გიჟდებოდა, ჩვენში კი, ამ გამოთქმაში ყველაზე გადამწიფებულ ასაკს გულისხმობენ. ერთი ჩვენებური ნათქვამის არ იყოს, – ყველამ თავის „გამოსირიალებულს“ მოუაროსო და მეც ჩემი გადასახედიდან მოგახსენებთ, რადგანაც ისევე, როგორც თითქმის ყველას, მეც მყავს სახლში სერიალების მსხვერპლი მეუღლე.

არა, ბოლო-ბოლო, ყველას აქვს უფლება, იმით გაერთოს, რითაც უნდა. მით უმეტეს, ცოლს, როცა ოჯახში ყველაფერი, რაც ქალს ევალება, 5-ანზე აქვს შესრულებული. მაგრამ როდესაც დღეში სამ სერიალს უყურებს და მერე დაქალები ტელეფონით უზიარებენ ერთმანეთს „შთაბეჭდილებებს“, სიმწრით მეცინება გულში (ხმამაღლა როგორ ვაკადრებძ. თანაც, გული მწყდება, რომ უკეთესს ვერაფერს ვთავაზობ, რადგან ის დრო წარსულს ჩაბარდა, როცა კინოში, თეატრში დავდიოდით. აღარც შეძლება სამაგისო და რაც უმთავრესია, აღარც ხალისი ამ დაქცეულ ქვეყანაში. ისე, რომც იყოს ერთიც და მეორეც და, რომ წახვიდე, უკეთესს ნახავ რამეს?

თუმცა, არც ის ქართველი მამაკაცები გახლავართ უკეთეს დღეში, რომლებიც „გამოსირიალებაზე“ აცრილები ვართ. სამაგიეროდ, უკიდურესად პოლიტიზირებულები, მივჩერებივართ საინფორმაციო არხებს, „კავკასიას“ თუ „მაესტროს“, ვისაც „თეფში“ გვაქვს, რუსულ არხებს თუ რუსულენოვან „ევრონიუსს“.

### ნაცებს მთელი საქართველო ვასიკო კეჟერაძეებით ჰგონიათ დასახლებული!

**აი, იმ ვასიკოზე მოგახსენებთ, ძლიერ რომ უყვარდა ლიტერატურა, ანუ კითხვა და ამიტომ სუბტიტრებიან ფილმებს ანიჭებდა უპირატესობას. ანუ, ახლა, მედლის მეორე მხარის შესახებ...**

დაახლოებით, საღამოს 10 საათისთვის მთავრდება „გამოსირიალების“ პროცედურა და იწყება ჟამი მორიგი გამოთაყვანებისა, ანუ, სუბტიტრებიანი ფილმებისა. რასაც სერიალების მსგავსად მასონ-გლობალისტებს ვერ დავაბრალებ – ეს აშკარად ნაცების „ნოუჰაუა“. ალბათ, გახსოვთ მიშას ცნობილი მოწოდება – ინგლისური, ინგლისური, ინგლისური! რასაც მოჰყვა გაურკვეველი ჯიშ-ჯილაგისა და მრწამსის, სექსუალური ორიენტაციის ათასობით „პედაგოგის“ საქართველოში დესანტირება. მერე მიშას სადღაც წამოსცდა – კარგი იქნება, თუ ტელევიზიები ინგლისურენოვან ფილმებს, ქართული სუბტიტრებით გაუშვებენ. რაც ინგლისურის ათვისებაში წაადგება ახალგაზრდებსო და დაიწყო, მარა რა დაიწყო!? – 10 საათამდე ხომ სერიალებს „გვატენიან“? 10-ის მერე, ვერც ერთ ე.წ. ნაციონალურ არხზე პრაქტიკულად ვერ ნახავ ქართულად დუბლირებულ ფილმს!














მამაჩემის თაობა იყო დაახლოებით ამ დღეში, როცა ომის შემდეგ ე.წ. „ტრაფეინი“ ფილმები გამოჩნდა კინოეკრანებზე, ოღონდ რუსული სუბტიტრებით. ოღონდ, დღევანდელისგან განსხვავებით, რუსულის ცოდნას არც მამები და არც შვილები ვუჩიოდით.

„შატალოზე“ წასულებს კინოთეატრ „კოსმოსში“ ერთი ამერიკული ფილმი, სამჯერ მაინც უნდა გვენახა, რომ ბოლომდე გაგვეგო, რა ხდებოდა – მართლაც ვასიკო კეჟერაძე უნდა იყო, რომ ფილმსაც უყურო და სუბტიტრებიც იკითხო! ჯერ ერთი, სუბტიტრებით ნასწავლი ენა „არ გაიშვა“ და მეორე, ჩვენ რა დავაშავეთ, ვისაც არც ასაკი გვიწყობს ხელს და იქნებ, არც სურვილი გვაქვს ინგლისურის ზუთხვისა? თუმცა არა! რაიმეს სწავლას კი არა, პირიქით - ნასწავლის დავიწყებას ცდილობენ სუბტიტრების კოშმარით!

ესეც სახელმწიფო რანგში აყვანილი ანტირუსული ისტერიის, რუსოფობიის ერთი შემადგენელია, ისევე, როგორც რესტორნებში რუსული სიმღერების აკრძალვა! მიზანიც საქართველოდან რუსული ენის საბოლოოდ გაძევებაა. ეს ნაცების ლოგიკაშიც ვერ ჯდება, – მტრის ენას სპეციალურად ასწავლიან და შენ ნასწავლი გინდა დაავიწყო? ამას წინათ ერთ სტუდენტს ტელეფონის ნომერი რუსულად ვუთხარი და ჯერ იმან დაალო პირი – ინგლისურად, ან ქართულად მითხარიო (მართლა ვერ გაიგოძ და მერე მე...

უფრო მეტიც, ისე გაუტიეს სუბტიტრომანიაში, რომ ამათგანაც კი არ ველოდი. ამას წინათ ქართული ფილმი „პომპიერო“ ვნახე და იქ, სადაც რამაზ ჩხიკვაძე მეხანძრეებს ავარჯიშებს – (დაწექი-ადექიძ ამასაც კი ქართული ტიტრები ედო!!! ახლა ალბათ ამათი ათვალწუნებული, „ჯარისკაცის მამის“ დრო დადგა და ხომ წარმოგიდგენიათ დამტვრეული რუსულით მოლაპარაკე გიორგი მახარაშვილის ტექსტი როგორი „კოლორიტული“ გახდება ქართული ტიტრებით? ამათი რა უნდა გაგიკვირდეს, როცა ნოდარ ლადარიამ მსოფლიო კინემატოგრაფის ერთ-ერთი შედევრი პათოსით ალექსანდროვის „მხიარულ ახალგაზრდობას“ შეადარა, ხოლო გოდერძი მახარაშვილი – მაგდანას ვირს, ამ მართლაც სახედარმა, ამან.

რაღა ბევრი გავაგრძელო და იმ მედლის ორივე მხარის ჩემეული ხედვა შემოგთავაზეთ, რომელსაც „გამოსირიალება“ და სუბტიტრები ჰქვია. დანარჩენი, ანუ ერთიც და მეორეც, ან ორივე ერთად რას ემსახურება, მკითხველმა განსაჯოს!

**დავით მხეიძე**

◉ IV რესპუბლიკური

# ოლიმპიადა დედაენის დღეს მიუძღვნეს...

**დედაენის დღისადმი მიძღვნილი IV რესპუბლიკური ოლიმპიადა ჩატარდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში. მონაწილეებს ეს დღე მიულოცა სკოლა-ლიცეუმ „სხივის“ დირექტორმა საფფეთ ბაირაქთუთანმა.**

მისი თქმით, „ჩალლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ორგანიზატორობით გამართულ ოლიმპიადაში საქართველოს მასშტაბით 600-მდე მოსწავლე მონაწილეობდა: „ოლიმპიადისთვის მზადება 1 აპრილიდან დაიწყო, „ჩალლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებები ორი კვირის განმავლობაში ქართული ენის კვირეულს მასპინძლობდა – კვირეულის ფარგლებში მრავალი ღონისძიება ჩატარდა და მოსწავლეებმა ქართულ ენას დამსახურებული პატივი მიაგეს. საუკეთესოები დედა ენის დღეს ფინალში წარდგნენ. ოლიმპიადაში არაქართულენოვანი მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ – თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, ინგლისიდან, ინდოეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოსულები, რომლებიც ცოდნას საქართველოში იძენენ,“ – განაცხადა სკოლა-ლიცეუმ „სხივის“ დირექტორმა.



ნომინაციაში **„საუკეთესო ორთოგრაფი“** გაიმარჯვეს – ლიზი ურჯუმელაშვილმა, ზურა ხარაიშვილმა, ანა გურგენიძემ; **„საუკეთესო მკითხველი“** გაიმარჯვეს – ელენე თოფურიამ, ანა ალაფიშვილმა, საბა-დავით გოგიჩაიშვილმა, ლანა ბილანიშვილმა; ნომინაციაში **„საუკეთესო კალიგრაფი“** – ნიკა ბერიამ, საბა ურუმაშვილმა, ლიზი შაფათავამ, გიორგი გაბინაშვილმა; **„საუკეთესო დეკლამატორი“** – ჯგუფი „გრანული,“ ლიზი ხელაია, ანა ღიბრაძე; **„საუკეთესო დეკლამატორი“** არაქართულენოვანი მოსწავლეებიდან – სერვეთ მუჰამედოვი (აზერბაიჯანიძ, ჰამზა ბაში (თურქეთიძ. **„საუკეთესო მუსიკალური ნომერი“** – ლიზი ლუკაშვილი, ილიკო ქობულაშვილი, ლიზი ხუციშვილი; ხოლო არაქართულენოვანი მოსწავლეებიდან – ოჯჰა შაივანშე, ჯესიკა აკოფოვი, იასინ გასიმოვი; ლუკა ქინანი, გულეფერ ოზთურქი.

მონაწილეებს და გამარჯვებულებს მიესალმა „ჩალლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ადემ ონალი**. „ბედნიერი ვიქნებით, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლა ჩვენმა მოსწავლეებმა შეძლონ ხალისიან გარემოში. დარწმუნებული ვარ, აქ არავინაა ისეთი, ვინც ოლიმპიადაში მონაწილეობით რაიმე წააგო. ყველა გამარჯვებულია, ყველას გადაეცემა სერთიფიკატი და საჩუქრები,“ – აღნიშნა ადემ ონალიმ.

ენა აერთიანებს ერთმანეთთან წარსულს, აწმყოსა და მომავალს – ისმოდა სცენიდან. იმ დღეს მრავალი კარგი და თბილი სტრიქონი გახმიანდა – გოგლა ლეონიძეს მუხრან მაჭავარიანი ცვლიდა, ლადო ასათიანს – ტერენტი გრანელი... საღამო გაალამაზა სკოლა-ლიცეუმ „სხივისა“ და დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის საცეკვაო ანსამბლებმა.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანელმა პატარა მომღერალმა **მარია გასანოვამ** ჟიურის ერთ-ერთი წევრის **ნუკრი კაპანაძის** განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა. ცნობილმა მომღერალმა მარია ჩარიცხა საკუთარ სტუდიაში და გამოაცხადა, რომ ეს გოგონა უფასოდ ივლის მასთან და დაეუფლება სიმღერის ხელოვნებას.

**ნატა ნიბლაძე**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ტელესივრცე

*საქართველოს ტელესივრცის სადღეისო მდგომარეობასა და, მით უმეტეს, ცალკეული ტელეკომპანიების სამაუწყებლო (როგორც შემეცნებითი, ისე გასართობი და საინფორმაციო) პოლიტიკა იმდენად მსუყე და ვრცელი თემაა, რომ ერთ მცირედ საგაზეთო პუბლიკაციაში საზოგადოებაში მათდამი დაგროვილი პრეტენზიების უბრალო ჩამონათვალიც კი არაფრით დაეტევა. ამ საკითხებს მომავალში აუცილებლად შევეხებით (მაგალითად, იმას, თუ როგორ თავის ნებაზე ეპყრობა ზოგიერთი ტელეკომპანიის ხელმძღვანელობა მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდებას, მხატვრული ფილმების დუბლირებისა და მრავალ სხვა თემას), ამჟამად კი ქვეყნის ტელესივრცეში რეკლამის განთავსების საკითხს გვინდა შევეხოთ, რომელიც, მართალია, ვაჭრობის ხელშემწყობი ფაქტორი კი არის, მაგრამ, დაგვეთანხმებით, ყველას ყელში გვაქვს ამოსული.*

# ვინ ავსებს სარეკლამო განძეულის ზარდახშას?

**ტელერეკლამამ თავი მოგვაბეზრაო, წელან კი ვთქვით, თუმცა საქმე ისაა, თუ ვის მოყირჭდა მისი ცქერა. პირველ ყოვლისა, ცხადია, მაყურებლებს, თორემ თავად ტელეკომპანიებს, მაღალი სტატუსის მენეჯერებს რეკლამაზე ძვირს ვერავინ ათქმევინებს, რადგან ყველა მედიასაშუალებაში ის შემოსავლის უმთავრესი და უმძლავრესი წყაროა, ერთგვარი განძეულის ზარდახშა.**

სწორედ ქვეყნის სატელევიზიო სივრცის თავისებურებათა ხარვეზების გამოვლენისა და მათი გამოსწორების რეკომენდაციების



შემუშავების მიზნით იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (იუსაიდი) მხარდაჭერით, „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა“ (GIPA) და „პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ-ჯგუფმა“ (PMCG) საგანგებო კვლევა ჩაატარეს.

ქვეყანის მრავალი ტელეკომპანიის სამაუწყებლო პოლიტიკაში სამთავრობო სტრუქტურები აქტიურად რომ ერევიან, ამას, უწინარესად, თავისუფალი ინფორმაციის აშკარა დეფიციტი, „მოდელირებული ქრონიკები“ და მრავალი სხვა მაგალითი მოწმობს. ამ მტკიცებას ისიც ამაგრებს, რომ მთელი რიგი გასართობი, ისევ ხელისუფლების მაამებელი, თუნდაც იუმორიან კონსტრუქციულ კრიტიკას მოკლებული პროგრამების (ეგრეთ წოდებული შოუების) სპონსორად სახელისუფლებო სტრუქტურები, ანდა მათი „ფრთის ქვეშ“ მყოფი კომერციული კომპანიები გვევლინებიან, რომლებსაც სხვა შემთხვევაში, რომ იტყვიან, „ზამთარში თოვლს ვერ გამოართმევს კაცი“.

ამის ერთ-ერთ მაგალითად მოყვანილია პოპულარული გადაცემები „ნიჭიერი“, „რა? სად? როდის? და „მხიარული სტარტები“, რომლებიც ეთერში თბილისის მერიის სპონსორული თანადგომის წყალობით გადის. გამოკვლევაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ 2008 წლიდან მოყოლებული, თბილისის მერიის მხარდაჭერილი ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ტრანსლირებული „ნიჭიერი“ ეთერში 1147-ჯერ გავიდა.

გარდა ამისა, იმავე „რუსთავი-2“-ის გადაცემა „ვანოს შოუს“ სპონსორი დაცვის პოლიცია იყო (საკვლევ პერიოდში 113 ჩართვა). შარშან და შარშანწინ „ვანოს შოუ“ ეთერში 776-ჯერ გავიდა. გარდა ამისა, 2009 წელს „აწ განსვენებული“ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სპონსორობის წყალობით გადაცემა „ოჩოს ქოხი“ ეთერით 317-ჯერ გადაიცა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2008 წელს ტელეკომპანია „მზის“ გადაცემა „პროცესს“ 24-ჯერ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უსპონსორა. მას არც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ჩამორჩენია, რომელმაც 2010 წელს გადაცემა „ჟურნალისტის დღიურს“ სპონსორობა 23-ჯერ გაუწია.

რაც შეეხება ტელემაუწყებლობის საინფორმაციო სექტორში რეკლამის ლიდერებს, კვლევის თანახმად, ამ მხრივ აბსოლუტური ლიდერები არიან სახელისუფლებო სატელევიზიო კომპანიები „რუსთავი-2“ და „იმედი“. მათგან ამ უკანასკნელის მიერ შარშანწინ ეთერში გაშვებული რეკლამის ღირებულებამ 42 მილიონი დოლარი, ხოლო შარშანდელ რვა თვეში დაახლოებით 28 მილიონი დოლარი შეადგინა. ამავე პერიოდში, „რუსთავი-2“-ის გადაცემებში განთავსებული ტელერეკლამის ღირებულება, დროის აღნიშნულ ვადებში, შესაბამისად, 35,4 და 21,6 მილიონი დოლარი იყო. კვლევის გამოქვეყნებულ შედეგებში აღნიშნულია, რომ „იმედსა“ და „რუსთავი-2“-ს, საბოლოო ანგარიშით, საქართველოში სატელევიზიო სივრცეში სარეკლამო ბაზრის 85,6 პროცენტი უკავია. ამასთან, ხაზგასმითაა მითითებული ისიც, რომ სარეკლამო ბაზარზე მომსახურების უპირობო მონოპოლისტია „ჯენერალ მედია“.

**ოთარ ტურაბელიძე**

ეს იყო, იყო...

# სადღაა ქართული შაქარი, ქართული ფოლადი, ქართული პური, ქართული, ქართული...

საქართველოს ლავრენტი ბერიას სახელობის პირველი შაქრის ქარხანა – აი, პირველი „გიგანტი“, რაც შემორჩა მეხსიერებაში. ბავშვობიდან იგი მუშაობდა ქართლის 4 რაიონში მოყვანილი შაქრის ჭარხლის ბაზაზე – ხაშური, ქარელი, გორი, კასპი – მხოლოდ აქ ითესებოდა შაქრის ჭარხალი. უზარმაზარი ფართობები ეკავა შაქრის ჭარხლის ნათესებს. ჭარხლის მოყვანა, მოვლა-პატრონობა კოლოსალურ შრომას ითხოვდა – მარტის ბოლოდან, ნოემბრის დასაწყისამდე, თითქმის შვიდი თვე. ძალიან რთული შვიდი თვე! დათესვით მანქანა თესავდა, როგორც კი პირველი მწვანე ფოთლები გამოჩნდებოდა მიწის ზევით, იწყებოდა მისი გამოხშირვა ხელით, მიწაზე ფორთხვით, გამარგვლა, გათოხნა 3-4-ჯერ, მორწყვა 7-8-ჯერ. ოქტომბრის ბოლო რიცხვებიდან იწყებოდა მოსავლის აღება. სრულიად გასუფთავებული, „თავგადაპარსული“ 6-7 კგ-იანი ჭარხლის თავები მიდიოდა ქარხანაში. აქაც მთელი რიგი პროცედურების (რამდენიმე საფეხურის) გავლის შემდეგ შაქრით ივსებოდა ქარხნის საწყობები, ათასობით ტონა ოდნავ მოყვითალო მსხვილი ფხვნილი იგზავნებოდა დანიშნულებისამებრ.

ქარხანა 3 ცვლად მუშაობდა. ცვლის ხანგრძლივობა 8 საათი. მუშაობდა დაახლოებით მარტის შუა რიცხვებამდე. მარტში ჭარხალი უკვე სითბოს ვეღარ უძლებდა და ლპებოდა.

გადამუშავების შემდეგ მეორადი ნედლეული დურდო – გამოიყენებოდა ცხოველების საკვებად, საკმაოდ ყუათიანი, კალორიული მიჰქონდა მეურნეობებს ფერმებში და მიჰქონდათ გლეხებსაც შინაური პირუტყვისთვის.

კიდევ მეტი, შაქრის მიღების შემდეგ რჩებოდა შავი სქელი სითხე – მელასა („პატოკი“), რომელიც რკინიგზით მიჰქონდათ გომის სპირტის ქარხანაში და იხდებოდა სპირტი. დიახ, ესაა ქიმიური ტექნოლოგიის დიდი პლუსი – კომპლექსური მეთოდი. ერთი ქარხნის პროდუქციის ნარჩენები მეორეგან ძირითად ნედლეულად გამოიყენებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქართული შაქრის ჭარხალი 25 პროცენტამდე საქაროზას შეიცავს, იმ დროს, როცა სხვა მიწის შაქრის ჭარხალი 18-22 პროცენტამდე. ე. ი. ყველაზე ტკბილია ქართული შაქარი. დიახ, ქართული შაქარი სწორედ რომ ყველა შაქართან შედარებით ბევრად ტკბილია. შაქრის ჭარხალი სხვა ქვეყნებშიც ითესება, შაქრის ქარხნები აქვს უკრაინას და ძალიან ბევრი. მაგალითად, ტერნოპოლის ოლქში შაქრის 80 ქარხანაა, მაგრამ ქართულ შაქარს ვერც ერთი ვერ უტოლდება.

მე ეს მეამაყება, ალბათ, ყველა ქართველსაც, მაგრამ რად ვიტყუებთ თავს. სადღაა ქართული შაქარი. აღარსად ითესება საქართველოში შაქრის ჭარხალი. ქარხანა? საქართველოს პირველი შაქრის ქარხანა დღესაც მუშაობს, მაგრამ აქ შემოაქვთ სხვა ქვეყნებიდან ნახევარფაბრიკატები და სულ ეს არის.

ერთი კია, გამივლია ქალაქის მაღაზიებში, დგას შაქრით სავსე ტომრები წარწერით – ქართული შაქარი და გული მეკუმშება. ალბათ, აღარასოდეს გველირსება ქართულ მიწაზე მოყვანილი ჭარხლისგან მიღებული ნამდვილი ქართული შაქარი. სხვა გზით მიდის ჩვენი ქვეყანა. დედაენის ამოძირკვაზეა საქმე (უწინამც დღე კი დამელევა მე, ვინაიდან, თურმე, მსოფლიოში მარტო ქართველები ვლაპარაკობთ ქართულად, ვაი ჩვენს პატრონს უბედურს? მაგრამ ვის დავემდუროთ? თუ რაიმე სიგლახე გვჭირს, ისევ ჩვენი ბრალია. ათასი ჯურის გადამთიელს გავუღეთ სახლის, თუ გულის კარი. ძმა მტრად გავიხადეთ და მტერი – ძმად. და ვითმენთ ყველაფერს. მაგრამ როდემდე, როდემდე?

ქართული შაქარი, ქართული ფოლადი, ქართული პური, ქართული ღვინო, ქართული, ქართული, ქართული, ყველაფერი საუკეთესო. ამ დალოცვილმა ყველა სიკეთით აღვსილმა მიწამ რაღა არ მოგვცა გამორჩეული და ჩვენივე უხეიროებით ყველაფერს თვითონ ვძირკვავთ ამ ღვთივკურთხეული მიწიდან, ღმერთო, რა ცოდვაში ვდგამთ ფეხს, კახეთის ბარაქიან მიწაზე ამერიკიდან შემოტანილი ხორბლის თესვა დავიწყეთ, და ამ ბოროტების ჩამდენნი როგორ ვიმართლებთ თავს ღმერთის წინაშე.

ღმერთო, რატომ ვისჯებით ასე უმოწყალოდ. რად დაგვიბინდე გონება ასე? ასეა, უარესიც უნდა ავიტანოთ, გუნდრუკი უნდა ვუკმიოთ უცხოურს.

**ზინა ლობჟანიძე,**
კურორტი აბასთუმანი

გამოფენა

# მობრძანდით, გვეწვიეთ!..

**ჩვენი ქვეყნის ტურისტული პოტენციალით უცხოეთში მზარდ დაინტერესებას მოწმობს თბილისის მე-13 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში „GTF-2011“-ში მონაწილე ქვეყნების საგრძნობი ზრდა.**

წლეულს საგამოფენო კოპლექს „ექსპო ჯორჯიაში“ მოწყობილ გამოფენაში მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანის, ბელარუსის, თურქეთის, ირანის, უკრაინისა და ყაზახეთის ტურისტულმა ფირმებმა. ევროვნული სააგენტოსა და „ექსპო ჯორჯიას“ მიერ ერთობლივად მოწყობილი საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების





მინისტრმა ვერა ქობალიამ გახსნა, რომელმაც კერძოდ, აღნიშნა: – წლეულს გამოფენაზე გაცილებით მეტი ტურისტული კომპანია მონაწილეობს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და უდავოდ ხელს შეუწყობს ჩვენს შორის კავშირების დამყარებას.

წლევანდელი გამოფენის 55 საგამოფენო სტენდზე 180-მა ორგანიზაციამ – ტურისტულმა კომპანიამ, დასასვენებელმა კომპლექსმა, ავიაკომპანიამ და ტუროპერატორმა – ფართოდ წარმოადგინა საკუთარი პროდუქცია, ასევე, მრავალფეროვანი მომსახურება. მათ შორისაა კულტურული, ისტორიული და ღვინის ტურები, ექსტრემალური და სათავგადასავლო პროგრამები, ეროვნული რეწვის საგნები და სუვენირები, მრავალი სხვა.

საგანგებოდ აღსანიშნავია საქართველოში მზარდი ტურისტული ინტერესი თურქეთისადმი, სადაც ჩვენი ტურისტების რიცხვი ვიზიტორთა შორის რიგით მეექვსეა.

„GTF-2011“ საერთაშორისო ტურისტული გამოფენის ფარგლებში თემაზე „ინოვაციები ტურიზმში“ სტუდენტებისთვის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია გამართა.

**ირმა ირემაშვილი,**
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტოები.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ დიმიტრი ყიფიანი — 200

*აპრილში სრულდება მე-19 საუკუნის გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, წმიდა დიმიტრი ყიფიანის დაბადებიდან 200 წლისთავი. დაიბადა 1811 წლის 14 (26) აპრილს გორის მაზრის სოფელ მერეთში, ივანე ყიფიანისა და ბარბარე ფურცელაძის ოჯახში..*

*1830 წელს დიმიტრი ყიფიანმა ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელი დაამთავრა და იქვე დაინიშნა მასწავლებლად. იგი მონაწილეობდა 1820-1830-იანი წლების კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესში, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული კულტურის გამოცოცხლებასა და აღორძინებას.*

*1832 წლის შეთქმულებაში აქტიური მონაწილეობის გამო სხვა მოღვაწეებთან ერთად ვოლოგდაში გადაასახლეს. 1837 წელს დაბრუნდა საქართველოში და სახელმწიფო სამსახურში ჩადგა.*

*იმ დროს საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო და ქვეყანაში ეროვნულ იდეებს დიდი გასაქანი არ ჰქონდა. დიმიტრიმ შეძლო მაღალი თანამდებობები გამოეყენებინა ქვეყნის გაძლიერებისა და ეკლესიის აღორძინებისათვის. დიმიტრი ყიფიანს კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების აღორძინება მიაჩნდა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გამთლიანებისა და განმტკიცების საფუძვლად.*

*მისი ინიციატივით, 1840 წელს თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა დაარსდა, გამოვიდა ჟურნალი „ცისკარი," მისი იდეითა და ძალისხმევით დაფუძნდა თბილისის სათავადაზნაურო ბანკი. დიმიტრი ყიფიანი იყო ერთ-ერთი ინიციატორი 1850 წელს ქართული თეატრის აღდგენისა, ხოლო 1870 წელს — პროფესიული თეატრის დაარსებისა. მანვე დააფუძნა „ქართული დრამატული საზოგადოება," „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლი საზოგადოება," რომლის პირველი თავმჯდომარეც თავად გახლდათ.*

*1882 წელს პეტერბურგში გამოაქვეყნა „ახალი ქართული გრამატიკა," რასაც ქართული ენის დევნის პერიოდში არა მარტო პედაგოგიური, ეროვნული მნიშვნელობაც ჰქონდა.*

*1886 წელს მოკლეს თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი ჩუდეცკი. საქართველოს ეგზარხოსმა პავლე ლებედევმა ჩუდეცკის დაკრძალვის დროს დაწყევლა ქართველი ერი.*

*დიმიტრი ყიფიანი ერთადერთი იყო, ვინც ხმა აღიმაღლა ერისთვის შეურაცხმყოფელი ქმედების წინააღმდეგ. ეს გახდა იმის მიზეზი, რომ დიმიტრი ყიფიანი გადაესახლებინათ სტავროპოლში, 1887 წელს კი ვერაგულად მოეკლათ. იმავე წელს ჩამოასვენეს და დაიკრძალა მთაწმინდაზე.*

*იგი სხვა ქართველ მამულიშვილებთან ერთად აქტიურად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და ქვეყანაში მართლმადიდებლური მსოფლმხედველობის განმტკიცებისათვის.*

*საიუბილეო დღეებში ვესაუბრეთ დიმიტრი ყიფიანის პირდაპირ შთამომავალს, მწერალს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ილია ჭავჭავაძის სახელობის კვლევითი ცენტრის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, ქალბატონ თამარ მიქაძეს.*

# საქართველოს დღესაც ესაჭიროება მისი „განწირული სიტყვა და ღრმა აზრი..."

**„დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე – ეს ორი ბურჯი ჩვენი ეროვნებისა – ამაყად გამოიყურებიან XIX საუკუნის უნუგეშო და უიმედო სინამდვილიდან...". კიტა აბაშიძე**

— შეიძლება ითქვას, რომ ბედნიერი შთამომავლები ვართ — მოვესწარით იმას, რასაც დიმიტრი ყიფიანის 5 თაობა ვერ ეღირსა, — გვითხრა ქალბატონმა თამარმა, — დედაჩემი გულისტკივილით მიამბობდა, რომ როდესაც სკოლაში აკაკის „განთიადს" უხსნიდნენ, იძულებული იყო, დაემალა, ვისი შთამომავალი იყო. უფრო ადრე, ბებიების პერიოდს რომ გადავხედოთ, იყო რეპრესიები, პიროვნული ტრაგედიები, მიწების ჩამორთმევა...

**— ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის საინტერესოა, ამ ბოლო დროს რა გაკეთდა დიდი წინაპრის სახელის უკვდავსაყოფად?**

— ყველაზე დიდი მოვლენა ისაა, რომ 2007 წლის აპრილში მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდმა, უწმინდესისა და უნეტარესის წინამძღოლობით, მიიღო დიმიტრი ყიფიანის წმინდანად შერაცხვის დადგენილება. კანონიზირებისას მას ეწოდა **წმინდა დიმიტრი ყიფიანი (სამშობლოსათვის წამებული)**. ეს ყველაზე დიდი მოვლენაა, წარმოიდგინეთ, რა ბედნიერებაა. შემთხვევითი არ არის, რომ ეს ამბავი სამსახურში — ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრში თანამშრომლებმა მახარეს. ყველაფერი ურთიერთკავშირშია და კანონზომიერად ხდება.

**— დიმიტრი ყიფიანიც და ილია ჭავჭავაძეც ხომ უდიდესი ეროვნული მოღვაწეები იყვნენ, რომელთა მხრებზეც დგას მე-19 საუკუნის საქართველო...**

— დიახ, გეთანხმებით, და აქვე ვიტყვი კიდევ ერთ დიდ საქმეზე: ბიზნესმენ ლაშა პაპაშვილის მხარდაჭერით გამოიცა ფოტოალბომი „დიმიტრი ყიფიანი — ცხოვრება და მოღვაწეობა." მან მწვანე გზა გაუხსნა დიმიტრი ყიფიანს, ეს დიდი ეროვნული საქმეა.

ალბომის გამოცემის სურვილი დიმიტრის ტრაგიკული აღსასრულის შემდეგ ჰქონია მის მეუღლეს — ნინო ჭილაშვილს. ჩვენთან, არქივში წერილებიც ინახება — ნინოს პატივისცემით უპასუხებენ, ვერ გამოვცემთ, რადგან სარფიანი საქმე არ არისო.

იმ დროიდან მოყოლებული, წლების განმავლობაში, ალბომის გამოცემაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

ჩვენს ოჯახში დიმიტრი ყიფიანის არქივი ინახება. ეს მამაჩემის — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გივი მიქაძის დამსახურებაა. მან რუდუნებით შეაგროვა მასალები, რის საფუძველზეც ალბომი გამოიცა. მასში მხოლოდ საოჯახო მასალები არ შესულა, საქართველოში არსებული ყველა საინტერესო ცნობით თუ ფოტოთი შეივსო.



**— ამბობენ, რომ დიმიტრი ყიფიანი ყოველთვის განებივრებული იყო ოჯახური მყუდროებითა და სითბოთი...**

— ძნელად თუ დავასახელებთ პიროვნებას, რომელიც დიმიტრი ყიფიანის მსგავსად იყო განებივრებული ოჯახური მყუდროებით. მეუღლე მას ღვთაებრივ დიმიტრის უძახდა, შვილებს — ნიკოლოზს, კოტეს, ელენეს სიყვარულის გარდა მამის მიმართ, დიდი მოწიწება ჰქონდათ.

**— თქვენი უშუალო წინაპარი რომელი იყო?**

— ჩვენ უფროსი ვაჟის ნიკოლოზის შტოს ვეკუთვნით. ნიკოლოზს ქალიშვილები ჰყავდა, მერეც სულ ქალბატონები აგრძელებენ შტოს, რის გამოც ისინი ყიფიანის გვარს არ ატარებდნენ. ნიკოლოზს ჰყავდა ელისაბედი — შიო არაგვისპირელის მუზა, შემდეგ მოდის ქეთევანი — ბებიაჩემი, დედა — ლალი და ბიძა — კინორეჟისორი გურამ პატარაია.



უნდა გითხრათ, რომ გვყავს დიმიტრი ყიფიანის მერვე თაობა, ჩემი დის — ქეთევან მიქაძის შვილიშვილი — სანდრო ალავიძე, რომელიც 4 წლისაა.

**— შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ თბილისში წმიდა დიმიტრი ყიფიანის სახელზე ტაძარი შენდება...**

— ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ ალბომის წარდგინებაზე, სამღვდელოების წარმომადგენლებთან ერთად, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მობრძანდა. იქ გამეცნო წმინდა დემეტრე თავდადებულის სახელობის ტაძრის მოძღვარი — მამა მალხაზი (ყიფიანი). მან მითხრა, რომ დიმიტრი ყიფიანის სახელობის ტაძრის მშენებლობას აპირებდა. ჩვენს შორის თბილი, ნათესაური ურთიერთობა დამყარდა. უწმინდესისა და უნეტარესის კურთხევით, ტაძარს უკვე საფუძველი ჩაეყარა — სვანეთის უბანში, ტერენტი გრანელის ქუჩაზე აშენდება წმიდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის ტაძარი. მისი შთამომავლებისთვის ამაზე მეტი სასიხარულო რა უნდა იყოს?

**— რა მდგომარეობაშია დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი ქვიშხეთში?**

— ქვიშხეთი ყიფიანების საყვარელი ადგილია. იქ ყოველ ზაფხულს ჩავდივართ, ისტორიულ შენობას, თავის დროზე ცნობილი პიროვნებები სტუმრობდნენ, დიმიტრი ყიფიანი განთქმული იყო სტუმართმოყვარეობით, დურბინდით აკვირდებოდა შორიდან მომავალ მგზავრებს. ჩინებულ ღვინოს დაახვედრებდა, მეურნე კაცი იყო... ამჟამად სახლ-მუზეუმი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. რესტავრაციას საჭიროებს.

**— ყიფიანების ისტორიულ და სახელგანთქმულ გვარს რაიმე რელიკვია ხომ არ გაქვთ?**

— II კლასში ვიყავი, ბებიამ სკივრიდან ამოიღო უცნობი მხატვრის მიერ დიმიტრი ყიფიანის სიცოცხლეში შესრულებული სურათი და დედაჩემს უთხრა, ეს სურათი თამრიკოს, როგორც უფროს შვილიშვილს დარჩებაო. მას შემდეგ საპატიოდ მიკიდია ეს სურათი.



გავიდა წლები და მივხვდი, რომ ამაში განგების ხელი ერია — ეტყობა, უნდა გაგრძელებულიყო ტრადიცია. ჩემი თაობის გასაკეთებელი იყო ეს ალბომი. ახლა ვიცი, რომ სურათს ჩემს ქალიშვილს — სოფოს გადავცემ... სოფო ისაკაძე სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიისა და რესტავრაციის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტია. მჯერა, ღირსეულად გადაიბარებს და გაუფრთხილდება ამ რელიკვიას.

**— ამას წინათ, ტელევიზიით ერთ-ერთმა პიროვნებამ დიმიტრი ყიფიანი აუგად მოიხსენია...**

— ერთი დიდი სიმდიდრე მაქვს —სულიერ გარემოში ვარ სამსახურით, მეგობრებით, მაგრამ არიან ადამიანები, ადვილად რომ შეუძლიათ ყველაფრის ხელყოფა. სამწუხაროდ, ისევ გრძელდება ეროვნული მოღვაწეების მიზანმიმართული დისკრედიტაცია. პასუხის ღირსად არ ჩავთვალე ერთი ჟურნალისტის გამონათქვამი, რომელმაც ოპონენტთან საუბრისას დიმიტრი ყიფიანი აუგად მოიხსენია, ვითომდა, ორმაგი სახე ჰქონდაო, რუსეთის მსახურება დასწამა.

სინამდვილეში 1832 წლის შეთქმულების შემდეგ დიმიტრი ყიფიანმა დიდი გამჭრიახობა გამოიჩინა, რუსეთს პირდაპირ კი არ ებრძოდა, არამედ საქმით იდგა საქართველოს სამსახურში.

იქნებ აქვთ რამე საბუთი, რომ დიმიტრი ყიფიანმა ან საქმით ან სიტყვით უღალატა სამშობლოს და ჩვენ არ ვიცით?

თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ მათ — ან დაასაბუთონ თავიანთი ნათქვამი ან კეთილი ინებონ და თავი დაანებონ დიდ პიროვნებას. გეკითხებით, რა უნდა ასწავლონ ასეთმა ადამიანებმა ახალგაზრდებს?

ისინი უნდა დაფიქრდნენ. თუ მათ მაინცდამაინც უარყოფითის თქმა უნდათ, საქართველოშიც, სხვა ქვეყნების მსგავსად, არიან, მართლაც, მოღალატეები.

დიმიტრი ყიფიანი წმინდანად არის შერაცხილი. მან მთელი ცხოვრება საქართველოს შესწირა, ილვაწა და მოწამეობრივად აღესრულა.

**ისევ კიტა აბაშიძეს მოვიხმობ, ვფიქრობ, მისი სიტყვები საოცრად ეხმიანება დღევანდელობას, და ინტერვიუსაც ამ სიტყვებით დავასრულებ: „დღეს, როდესაც საქართველოს ასე ესაჭიროება განწირული სიტყვა და ღრმა აზრი, დღეს, როდესაც ყოველი ჩვენთაგანი გრძნობს სიცარიელეს და უდიდეს სულიერ კარჩაკეტილობას განიცდის, აუცილებლივ საჭიროა მოგონება და პატივისცემა ადამიანისა, რომელიც თავგაჩეხილი სწორედ ამ გაბედულ სიტყვისთვის მსხვერპლად შეეწირა ჩვენი ერის უფლების და თავმოყვარეობის დაცვის საქმეს."**

თამარ შაიშმელაშვილი.

**სურათზე:** დიმიტრი ყიფიანი; მამა მალხაზი (ყიფიანი) და თამარ მიქაძე; დიმიტრი ყიფიანის მერვე თაობა — სანდრო ალავიძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ჟურნალისტის ბლოკნოტიდან

# რა გქვია და ვისი გორისა ხარ?

**ამ დღეებში, როდესაც ჩემს ნახევარსაუკუნოვან არქივს ვათვალიერებდი, აღმოვაჩინე ბლოკნოტი, რომელშიც რამდენიმე წლის განმავლობაში ზედმეტსახელებთან, ფსევდონიმებთან დაკავშირებულ გასართობ სახელებს, გვარებს, აგრეთვე ფაქტებს ვიწერდი. გავიხსენე ყველა მათი ისტორია და ვიფიქრე, რომ დღევანდელი დღის ინფორმაციით შევსებული ეს არაჩვეულებრივი ანთროპოლოგიური კოლექცია არ იქნებოდა ინტერესმოკლებული ფართო მკითხველისთვის.**

როგორც ცნობილია, უსახელო ადამიანები არ არსებობენ. და თუ ჰომეროსის დროს საკმარისი იყო შემოფარგლულიყავი მხოლოდ ამ ცხოვრებისეული დაკვირვებით, დღეს უკვე პიროვნებათა სახელებსა და გვარებს სწავლობს მთელი მეცნიერება ონომასტიკა (იგივე – ონომატოლოგია) – ლექსიკოლოგიის განუყოფელი ნაწილი. სახელებსა და გვარებს შეუძლიათ გონიერ ადამიანს „უამბონ" ხალხის ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებზე, მის ისტორიაზე, მათ დახმარებით შეიძლება თვალი გაადევნო დიდ მოვლენებსაც კი ისტორიაში.

როდესაც ქართულ გვარებზე ვსაუბრობთ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართველ ანთროპოლოგთა უკანასკნელი გამოკვლევები. სამეცნიერო წრეებში ცნობილია, რომ გვარის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა XII-XIII საუკუნეებში. საქართველოში პირველი გვარი დაფიქსირებულია წებელდის ეკლესიის წარწერებში – **კორჩილავა,** მეორე გვარი **კვარაცხელია** – ილორის ეკლესიის წარწერებში. ზოგიერთი ქართველი მეცნიერი, მაგალითად, გ.გიორგაძე მიიჩნევს, რომ ქართული (მეგრული) გვარები ძველი წელთაღრიცხვის XV-XII საუკუნეებში კოლხურ ტომებს ჰქონიათ...

ჩვენს პატარა – მოცულობითაც და მოსახლეობითაც – ქვეყანაში ამჟამად 40 ათასი გვარია. ამ დროს, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის მოსახლეობა ლამის მილიარდნახევარია, იქ მხოლოდ 200-მდე ჩინური გვარია.

ჩვენთან ყველაზე წარჩინებული, დიდებული, გვარი **ბაგრატიონია** – საქართველოს მეფეთა დინასტიური გვარ-სახელი, წარმოშობით ტაო-კლარჯეთიდან. იგი მართავდა საქართველოს IX საუკუნიდან 1810 წლამდე. დღეს მთელ მსოფლიოში ამ გვარის ნამდვილი მატარებელი რამდენიმე ათეულია. ხშირად, განსაკუთრებით ახალგაზრდები, დავობენ იმის შესახებ, თუ ვისი გვარია უფრო გავრცელებული ან უფრო პოპულარული. აი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს უკანასკნელი მონაცემები. „ჩემპიონი" ქართული გვარების სიაში, როგორც ეს 20-30 წლის წინათაც იყო, არის გვარი **ბერიძე** – იგი ყველაზე მეტად აჭარაშია გავრცელებული. დღეს ამ გვარის მატარებელი 30 ათასი კაცია. სხვათა შორის, ამ გვარის ფუძემ „ბერ" დაახლოებით 60 ქართულ გვარს მისცა სახელწოდება, რაც ასევე რეკორდულია. შემდეგ მოდიან **კაპანაძეები, გელაშვილები (გილაშვილები)** და **მაისურაძეები.** მათში თითოეულში 15 ათასამდე კაცია. ეს გვარები გვხვდება ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რაიონში. გავრცელებული გვარების პირველ ათეულში ასევე შედიან **გიორგაძეები, ლომიძეები, წიკლაურები, კვარაცხელიები** – თითოეული მათგანი 10 ათასზე მეტია. „ცხრაათასიანელები" არიან: **ბოლქვაძეები, შენგელიები, ნოზაძეები, ხუციშვილები.** 8 ათასზე მეტ კაცს ითვლიან თითოეული შემდეგი გვარები: **აბულაძე, მიქელაძე, გოგოლაძე.** ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანში ლიდერია გვარი **მამედოვი.** ამ გვარს საქართველოში 22 ათასი კაცი ატარებს.

ჩემს არქივში შემონახულია ყველაზე იშვიათი ქართული გვარების სიაც. როგორც იტყვიან, დაიწყებ ამ გვარების მატარებელთა ჩამოთვლას – ერთი, ორი... და მორჩა. მაგალითად, **აკოტი, ავგაროზაშვილი, ათათია, გობნელი, გაზნელი, გრაპიაშვილი, ბეზუკლიშვილი, ვარვარიძე, ტენტურაშვილი, კბილიანაშვილი, მონავარდიშვილი, სურვილაძე, სასურქინაშვილი, ფეხმოჭრილაშვილი, ღვლიღვიშვილი, ფეხშიშველაშვილი, კვიტინი, ცხრაკბილაშვილი, გორიგლეჯაშვილი** და სხვები.

დავინტერესდი ყველაზე გრძელი ქართული გვარებითაც. ასეთებია **ღვთისმსახურიშვილი** (17 ასოძ, **პეტრემღვდლიშვილი** (16 ასოძ. ყველაზე მოკლე გვარებია – **იაძე, ჭაია, ჯაში.** ქართულ გვარებს შორის შეხვდებით, თუმცა ძალიან იშვიათად, ასეთ ძველ გვარ-ტანდემებსაც: **ბაგრატიონ-მუხრანელი, კვეზერელი-კოპაძე, თარხან-მოურავი, ათაბაგ-ათაბაგი, სიდამონ-ერისთავი, ალექსი-მესხიშვილი...**

ყველგან და ყველა დროში იყო მოდა სახელებზე, რომ აღარაფერი ვთქვათ თიკუნებსა და მეტსახელებზე. საქართველოს გასაბჭოებამდე სახელებს ძირითადად ირჩევდნენ წმინდანების მიხედვით. იმ წმინდანის მიხედვით, რომლის ხსენების დღეც ემთხვეოდა ახალშობილის დაბადებას. მადლობა ღმერთს, ჩვენი ტრადიციული ცხოვრების წესი ნამდვილ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებთან ერთად კვლავ იბრუნებს თავის ადგილს ჩვენს ყოფაში.

მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამ, ბოლშევიკური ხელისუფლების რეჟიმმა, კოლექტიური ერთად ცხოვრების საყოველთაო სისტემამ არა მხოლოდ ერებისა და ხალხების სხვაობის ნიველირება მოახდინეს, არამედ ისეთი არეულობა შეიტანეს სახელდებაში, რომ ზოგჯერ გაოცებასაც ვერ მალავ. იმპერიები ქრება, იცვლება პოლიტიკური წყობა ან რეჟიმი, სახელები კი რჩება, უფრო მეტიც, გადაეცემა ბავშვებს მამის სახელების სახით, რომლებსაც ამის გამო მთელი ცხოვრების მანძილზე უწევთ ჯახირი. მაგალითად, როგორ შეიძლება შეაფასო მშობლების ლოგიკა, ვთქვათ, ისეთი სახელის დარქმევის დროს, როგორიცაა **რემეზი** (რუსულად ეს აბრევიატურა გამოდის, როგორც რუსთავის მეტალურგიული ქარხანაძ. ჩემს ბლოკნოტში არის აგრეთვე სახელი **ჩეტეზე- ჩეტეზი,** რაც ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის სახელის პირველი ასოების მიხედვით არის „მოფიქრებული". საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ბევრი გაჩნდა ისეთი სახელი, რომლებიც ამ საწარმოს პროდუქციას „შეესაბამებოდა": ტრაქტორი, კომბაინი, ელვინისელექტოვიზი, ახლა, მოდით და შეეცადეთ შექმნათ მამის სახელები ამ სახელებიდან...

უფროსი თაობის წარმომადგენლებს კარგად ახსოვთ, ბევრი კი კარგად იცნობს იმათ, ვისაც ბოლშევიკური მგზნებარების დროს „შეუქმნეს" სახელები. მათი განსაკუთრებული ტირაჟირება ხდებოდა გასული საუკუნის 20-30 წლებში. მაგალითად, **ნამური** (ნამგალი და უროძ, **მელორი** (მარქსი-ენგელსი-ლენინი – ოქტომბრის რევოლუციაძ, **ვილენი** (ვლადიმერ ილიას ძე ლენინიძ, **ბერმოლი** (ბერია-მოლოტოვიძ, **ლესტანბერი** (ლენინი-სტალინი- ბერიაძ, **ლორიერიკი** (ლენინი, ოქტომბრის რევოლუცია, ინდუსტრიალიზაცია, ელექტრიფიკაცია, კომუნიზმიძ, **ლუნიო** (რუსულად ასეთი აგებულებისაა – ლენინი გარდაიცვალა, მაგრამ იდეები ცოცხლობენძ და ა.შ. იმ წლებში ბოლშევიზმით ნაკარნახევი ქალის ასეთი სახელებიც გაჩნდნენ: **ლენინა, სტალინა, სტალიია, კალინინა.** ვიცი შემთხვევა, როდესაც მშობლებმა თავიანთ შვილებს დაარქვეს **რევოლი** და **ლუცია.** მაგრამ კომპარტიის ხელმძღვანელობა ასეთ შემოქმედებას არ ახალისებდა და ფარულად, როგორც ამბობდნენ, რევოლუციის ბელადების ფსევდონიმების სახელების დარქმევას ადგილებზევე აღკვეთავდნენ ხოლმე.

ოცდაათიან წლებში ქვეყნად გამოჩენა დაიწყეს ისეთმა გოგონებმა და ბიჭუნებმა, რომელთა სახელებიც იყო კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია. ჩემს ჩანაწერებში არის არტილერიის აკადემია, ზაგოტსკოტი (რუსულად – ცხოველთა დამზადებაძ, პიატჩეტი (რუსული ტრანსკრიპციით – ხუთწლედი ოთხ წელიწადშიძ. კვლავ მადლობა უფალს, რომ ამ ეგზოტიკამ გვერდი აუარა საქართველოს, და მთლიანად კავკასიასაც. მაგრამ 20-30-იან წლებში საქართველოში მეტად გავრცელებული იყო გერმანული სახელები. ჩვენს ეზოში ცხოვრობდნენ ორი **ჰენრიხი** და მათ პირდაპირ – **ზიგფრიდი.** ჩემი მწვრთნელი ტანვარჯიშში იყო **ჰანსი,** სკოლაში მასწავლიდა **გერმანი.** პირადად მე ვიცნობდი **ვილჰელმს, ფრიდრიხს, ვალტერს, ტელმანს** და უფროსი ასაკის ორ **ადოლფსაც** კი – წარმოგიდგენიათ, რა ოდიოზურად ჟღერდა მათი სახელები გერმანიასთან ომის დროს. აღარაფერს ვამბობთ ამგვარი მამის სახელის მქონე ბავშვებზე, რომლებიც მამის სახელის ხსენებაზე ყოველთვის წითლდებოდნენ.

ხშირად შევხვდრივარ ისეთ სახელებსაც, რომლებიც შედგენილი იყო ხელოვნურად, ამჯერად უკვე ქართული ენის საფუძველზე. მაგალითად, **არველოდი, ვინარი, მოგელი, გულსუნდა, ალმაზი, სანატრელა, დისო** (დიდი სამამულო ომიძ. ზოგიერთი მშობელი თავის შვილს არქმევდა თავიანთი სახელების პირველი ასოების „სინთეზს": **თიესა** (თინა და იესეძ, **შოგული** (შოთა და გულიკოძ, **სოლეილა** (სოლიკო და ლეილაძ... აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბაზაში დღეს შეიძლება შევხვდეთ ისეთ სახელებს, როგორებიცაა – **ვებერთელა, ლამაზი, მხედარი, მოქეიფე, ნექტარი, ედემი, აივენგო, რუზველტი, რუზო, სევდაგული...**

მახსოვს, 60-იან წლებში, ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტობის დროს, ახალგაზრდულ წრეში მოვაწყვეთ ანონიმური გამოკითხვა: ვის უნდა, რომ სხვა სახელი ერქვას. შედეგი მოულოდნელი იყო – ნახევარზე მეტმა თავისთვის სხვა სახელი აირჩია (!ძ. თუმცა საბჭოთა პერიოდში ამის გაკეთება თითქმის შეუძლებელი იყო. და აი, ასე „ტკბებოდნენ" საბრალონი თავიანთი სახელებითა და მამის სახელებით. ერთხანს ჩვენში მოდაში იყო სახელები, რომლებიც ძველი საბერძნეთიდან „გვეწვივნენ": **არისტოტელე, სოკრატი, პლატონი, იპოკრატე, ცეზარი, ფილიპე...**

არანაკლებ უცნაური იყო სახელის დარქმევა უცხოეთშიც. იქ, ეტყობა, ქიმიისადმი თაყვანისცემის ნიშნად, ახალგაზრდა მშობლებმა საარის ოლქიდან პირმშოს **მოლიბდენი** დაარქვეს, ბიჭუნას **ნიობი,** გოგონას – **კვეკზილბერი** (გერმანულად ეს ვერცხლისწყალიაძ. ბელგიაში ახალშობილებს დაარქვეს **გრამოფონი, აგფა** (ფოტოფირის მარკააძ, **ომო** (სარეცხი ფხვნილის სახელწოდებაძ... ხშირად საქმე სერიოზულ კურიოზამდეც კი მიდიოდა. მაგალითად, ახალშობილის მამა კეიტ დეილი მანჩესტერიდან – თავგამოდებული ფეხბურთის გულშემატკივარია. როდესაც მისმა საყვარელმა გუნდმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" ურთულეს ორთაბრძოლაში ინგლისის თასი მოიპოვა, დეილი ისეთი აღფრთოვანებული იყო, რომ სიხარულით თავის ვაჟიშვილს უწოდა ყველა თორმეტი მოთამაშის სახელი, ვინც ეს საოცნებო თასი მოიპოვა. აი, მისი ვაჟიშვილის სრული სახელი – **სტენ-ჰარიმაიკ-არტურ-რეი-კევინ-გორდონ-ბრიონ-არნოლდ-ფრენკ-ნორმან-ალან დეილი.** ამას წინათ ყატარში მშობლებმა ახალშობილ გოგონას ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების მიღებასთან დაკავშირებით **ფიფა** დაარქვეს. ეს 2010 წლის 2 დეკემბერს მოხდა.

საერთოდ, ფეხბურთთან დაკავშირებული სახელები, უბრალოდ, ფანტასტიურია, განსაკუთრებით ბრაზილიაში, სადაც თითქმის ყველას ფეხბურთი აბოდებს. ლეგენდარული **პელეს** სახელი უამრავს ჰქვია. სხვათა შორის, სამხრეთ ამერიკაში ბევრია ისეთი ადამიანი, რომლებსაც ათი და მეტი სახელი აქვს. ბოლო დრომდე რეკორდსმენად ითვლებოდა ერთი ბრაზილიური ოჯახი, რომელმაც ახალშობილს 50 სხვადასხვა სახელი დაარქვა. მაგრამ შარშან ჟურნალ „ვოკრუგ სვეტადან" გავიგე, რომ დაიბადა ბიჭუნა, რომლისთვისაც მშობლებმა შეადგინეს სახელი... 200 შემადგენელი ნაწილისგან. ეს მათთან პრესტიჟულია. და კიდევ ერთხელ სამხრეთ ამერიკაზე. ეკვადორის ქალაქ მანტას ახალშობილთა რეგისტრაციის განყოფილებამ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელიც კრძალავს ბავშვებისთვის „იშვიათი" სახელების დარქმევას. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მოსიყვარულე მშობლებმა მოითხოვეს თავისი პატარისთვის დაერქმიათ სახელი – **პოსტსკრიპტუმი...**

ისტორიამ „სახელობითი" ბუმის ბევრი აფეთქება იცის. გავიხსენოთ რამდენ ათას ბიჭუნასა და გოგონას დაარქვეს **იური გაგარინისა** და **ვალენტინა ტერეშკოვას** სახელები კოსმოსში მათი გაფრენის აღსანიშნავად. საერთოდ, სახელების დარქმევის მოდაში ყოველთვის იყო ისტორიული მოვლენები, პოლიტიკური მოღვაწეების, მსახიობების, მომღერლების, კინოვარსკვლავების, სპორტსმენების... მაღალი ავტორიტეტი. მაგალითად, ათასობით ახალშობილს დაარქვეს სახელები – **ვატერლოო, ჰამლეტი, პუშკინი, მერილინი, ოდრი, რეიგანი, ოლიმპიადა, ფეოლა, მარადონა...** ეს ორი უკანასკნელი პელესთან ერთად არის ქართველთა შორისაც. აი, კიდევ ერთი მაგალითი: სპარსეთის ყურეში ომის დროს ბევრმა ახალშობილმა ოკეანის გაღმა მიიღო სახელი **პეტრიოტი** ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო იარაღის პატივისცემის ნიშნად...

არის ასობით შემთხვევა, როდესაც ადამიანები თავიანთთვის იგონებენ მეორე სახელს – ფსევდონიმს. ფსევდონიმებით ძირითადად სარგებლობენ მწერლები, ჟურნალისტები, მსახიობები, პოლიტიკოსები. ისინი განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული რუსეთში რევოლუციონერებს შორის ცენზურისგან, დამსჯელი ორგანოებისგან დამალვის მიზნით, ზოგჯერ კი იმისთვის, რომ ხაზი გაესვათ თავიანთი პიროვნების თავისებურებებისთვის და ა.შ. რასაკვირველია, დღეს, ისევე როგორც გუშინ, ყველაზე სახელგანთქმულ ფსევდონიმად რჩება **სტალინი,** რომლის სახელსაც აი უკვე თითქმის ასი წელია, ჩრდილი არ ადგება. 1913 წლის 12 იანვარს იოსებ ჯუღაშვილმა პირველად მოაწერა თავის პუბლიკაციას ფსევდონიმი სტალინი. დღემდე ისტორიკოსები და მკვლევარები დავობენ ამ კეთილხმოვანი სახელის წარმოშობასთან დაკავშირებით. ერთმნიშვნელოვანი პასუხი ჯერჯერობით არაა. სტალინი კი ამასთან დაკავშირებით არაფერს ამბობდა და არ წერდა. ბოლშევიკი ლიდერებიდან ფსევდონიმებით ბევრი სარგებლობდა, მაგალითად, **ვლადიმერ ლენინი** (ულიანოვიძ, **ლევ ტროცკი** (ლეიბა ბრონშტეინიძ, **ვიაჩესლავ მოლოტოვი** (სკრიაბინიძ, **სერგეი კიროვი** (ვოსტრიკოვიძ და სხვა. მაგრამ არა მხოლოდ ფსევდონიმებით, დაბადების დროს მიცემული სახელებითა და გვარებით გვახსოვს ადამიანები. ჩვენ მათ ვიცნობთ ზედმეტი სახელებითაც, რომლებსაც სხვადასხვაგვარი წარმომავლობა აქვთ. აქ ადგილი აქვს მისი სახელების თავისებურებასთან ფონეტიკურ თამაშსაც, ტემპერამენტის სახუმარო გათამაშებასაც. მაგალითად, ნებისმიერი თბილისელი უმალვე დაგისახელებს, თუ ვისი თიკუნია **ბასა, ჩელე, ჩორნა** (ცნობილი ფეხბურთელებისა – ა.ღოღობერიძე, რ.ჩელებაძე, მეკარე მ.პირაევიძ და ა.შ.

სხვადასხვა ხალხს სახელის დარქმევის სხვადასხვა წეს-ჩვეულება აქვს. ებრაელთა შორის, მაგალითად, არ არის მიღებული ახალშობილისთვის ცოცხალი ნათესავის სახელის დარქმევა. იუდეველთა ტრადიცია მიიჩნევს, რომ ამ დროს შეიძლება შეიკვეცოს სიცოცხლის ვადა. ამიტომ ბავშვს არქმევენ სახელს მხოლოდ გარდაცვლილის პატივსაცემად. ქართველებში ისევე, როგორც ბევრ მართლმადიდებელ ხალხში, მიღებულია ახალშობილს დაარქვან არა მხოლოდ ცოცხალი ნათესავის, მახლობლის სახელი, არამედ გარდაცვლილისაც. ამიტომ არის ჩვენს შორის, რომ ასე ხშირად მეორდება მამის სახელი. ადრეც, ახლაც შეიძლება შეგხვდეს ბევრი **აკაკი აკაკის ძე, გიორგი გიორგის ძე...** ჩვენ თითქოს ვლორძინდებით ჩვენს შვილებში მათი სახელებით. ტრადიციის ასეთი მემკვიდრეობითობა, არა მხოლოდ სახელის დარქმევაში, ყოველთვის ახასიათებდათ ქართველებს. თუმცა, არც ისე დიდი ხნის წინათ, საქართველოს მთავრობამ ჩვენი პასპორტებიდან და პირადობის მოწმობებიდან ამოიღო არა მხოლოდ ეროვნება, არამედ მამის სახელიც. აი თურქეთში ჩვენი მეზობლების პირადობის დოკუმენტებში გვარისა და სახელის გარდა მითითებულია დედის სახელიც, ეროვნებაც (ყველასთან იქ მითითებულია თურქიძ, რელიგიაც და სისხლის ჯგუფიც კი...

დიახ, როგორც ეტყობა, ტლანქი სახელების დრო გადის. მახსოვს, როდესაც პირველად ვიყავი საფრანგეთში (ეს 1989 წელს იყოძ, რასაკვირველია, უწინარეს ყოვლისა, მოვინახულე 20-იანი წლების ქართველი ემიგრანტების უკანასკნელი თავშესაფარი – ლევილის სასაფლაო. იქ დაკრძალულია დაახლოებით ოთხასი ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, რომელთა დიდი უმრავლესობაც XIX საუკუნის ბოლოს დაიბადა. მაშინვე მივაქციე ყურადღება, რომ არც ერთ დაკრძალულს აქ არ ჰქონია უხეში, გროტესკული, უცხოური სახელი, რომელიც ჰარმონიაში არ იქნებოდა ქართველი ხალხის ტრადიციებთან და ყოფასთან: ალექსანდრე და ანასტასია, გიორგი და მარიამი, ვლადიმერი და ელენე, ილია და სოფია, ნიკოლოზი და ეთერი, პეტრე და მარგალიტა, მიხეილი და ოლღა... ასეა, კაცი კვდება, მისი გვარი და სახელი კი აგრძელებს დინასტიას. და როგორი სიამაყით წარმოითქმის მჟღერი სახელი, მჟღერი გვარი! სხვათა შორის, მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ქალის სახელია **ანა,** რომელსაც ამჟამად დაახლოებით 100 მილიონი ადამიანი ატარებს. კაცის ყველაზე პოპულარული სახელი კი მსოფლიოში **მუჰამედია.**

... ამ დღეებში, აღდგომის წინა დღეებში ქვაშვეთის ტაძრის დეკანოზს მამა ელიზბარს ვესაუბრე. დავინტერესდი, მშობლები თავიანთი შვილებისთვის დღეს რომელ სახელებს ირჩევენ. თურმე ყველაზე პოპულარულ ქართულ სახელებად ითვლება **გიორგი, დავითი, ნიკოლოზი, ლუკა, საბა** – ბიჭებში, და **მარიამი, ნინო, ანა, ლიზი, ელენე** – გოგონებში. თითოეული ჩვენგანი ვალდებულია, იცოდეს წარმომავლობა თავისი სახელის, გვარისა, რომლებსაც ჩვენ ვიღებთ დაბადების დროს და გადავცემთ შთამომავლებს. ეს არის ძაფი, რომელიც წარსულს მომავალთან აერთებს.



**ლევან დოლიძე,**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს არც თუ ისე დიდი საზოგადოება

**ისადილეთ ტიპურ ქართველ კაცთან და თქვენ გაგაოგნებთ მისი ყურადღება და სითბო. დაეთანხმეთ შემდეგ შინ მიყვანას და შენიშნავთ, რომ დანარჩენი მძღოლები ქუჩაში მისგან ასეთსავე თავაზიანობას ვერ მიიღებენ. თანამედროვე საქართველოში სტუმართმოყვარეობის წესებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მოძრაობის წესები კი მხოლოდ მაშინ არის მნიშვნელოვანი, როდესაც ახლომახლო საგზაო პოლიციაა**

ეს შეუსაბამობა დედაქალაქ თბილისში არა მხოლოდ იმ ფეხით მოსიარულეებს უქმნის საფრთხეს, რომლებიც ქუჩის გადაკვეთისას მიწისქვეშა გადასასვლელებს უვლიან გვერდს. როგორც კავკასიის კვლევის რესურსცენტრის (სკკსძ ამ ბოლოდროინდელ ანგარიშშია ნათქვამი, ეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ტენდენციის ნაწილია. სოციალური მეცნიერების ენაზე, საქართველოს არასაკმარისი „სოციალური კაპიტალი“ აქვს: მხარის იმ ნდობის, ჩვევების და ინსტიტუტების ნაზავი, რომელიც საზოგადოებას კრავს.

განთქმული ქართული სტუმართმოყვარეობა ძლიერი ოჯახებისა და მეგობრობის ტრადიციის ნაწილია, ამას „ემოციურ“ სოციალურ კაპიტალს უწოდებენ, მაგრამ გზა ერთმანეთს შედარებით უცნობ ადამიანებს ახვედრებს. სკკს-ის ანგარიშში კი ნათქვამია, რომ საქართველოში უცნობ ადამიანებს საერთო სიკეთის მისაღწევად ერთმანეთთან თანამშრომლობა არ სურთ. სოციალურ კაპიტალში გამაერთიანებელი ძალის ეს ნაკლებობა, სკკს-ის ვარაუდით აფერხებს ქვეყნის განვითარებას.

ამ მოვლენის ფესვები ნაწილობრივ ისტორიაში უნდა ვეძებოთ. კომუნიზმის დროს ადამიანებს დაუკითხავად აწევრებდნენ ისეთ ორგანიზაციებში, როგორიც იყო პიონერია. პირქუშმა პოსტკომუნისტურმა რეალობამ მალევე გააქარწყლა ახლად გაჩენილი მოლოდინები. უნდობლობა და იმედგაცრუება საზოგადოებრივი მოქმედებებით საყოველთაოდაა გავრცელებული, ხოლო აპათია და ფატალიზმი ჩვეული მოვლენაა. ამიტომ არ არის გასაოცარი, რომ საზოგადოებრივ და პროფესიონალურ ასოციაციებში ქართველთა 1%-ზე ნაკლებია გაერთიანებული.

ამ თვალსაზრისით ქართველები ბევრი სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნის მოსახლეობისგან არ განსხვავდებიან, მაგრამ შესაძლოა, აქ ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სადმე სხვაგან. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მთავრობა ნერგავს რადიკალურ ლიბერალურ ეკონომიკურ მოდელს, რომელიც ბაზრის ძლევამოსილების კვაზი-თეოლოგიურ რწმენას ეფუძნება.

იმისთვის, რომ ბაზრით მართულმა დემოკრატიულმა ქვეყანამ ეფექტიანად იფუნქციონიროს, თანამშრომლობა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც კონკურენცია.

ერთ-ერთი ასეთი მაგალითი ქვეყნის ფერმერობაა. ერთ დროს საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო ცენტრი საქართველო, დღეს თავისი სათესი მიწების 50%-ზე ნაკლებს ამუშავებს. სამუშაო ძალის ნახევარზე მეტი სოფლის მეურნეობაზე მოდის, არადა სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 10%-ზე ნაკლებია.

იმისთვის, რომ გადაწყვიტოს საკვები პროდუქტების სიძვირის პრობლემა და შეამციროს საკუთარი დამოკიდებულება იმპორტზე, ამას წინათ მთავრობამ საშინაო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განსამტკიცებლად ამ დარგში 150 მილიონი ლარის ინვესტირება გადაწყვიტა და ბევრისთვის გასაოცრად, მან ასევე სამხრეთ აფრიკიდან, მათი გამოცდილების საქართველოში გასავრცელებლად, ბური ფერმერებიც მოიწვია.

მაგრამ ფული და უცხოური გამოცდილება საკმარისი არ არის. ქართველებს თავისი პატარა ნაკვეთების დამუშავება ურჩევნიათ. იმისთვის, რომ ფასები შეამცირონ და გაზარდონ პროდუქტიულობა, მათ კოოპერირება სჭირდებათ. როგორც ერთმა მაღალჩინოსანმა ავტოკრატმა თქვა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს შეუძლიათ, შეამცირონ საოპერაციო ხარჯები და საბითუმო მყიდველთან გაზარდონ ფერმერების საბაზრო ძალა, მაგრამ ასეთ თანამშრომლობას აფერხებენ. კოოპერატივები ორმაგად იხდიან გადასახადებს, როგორც საწარმოები და კერძო პირები.

მეორე მაგალითი, რომელიც ანგარიშში ნახსენები არ არის პოლიტიკური ოპოზიციის სნეულებაა. საქართველოს ოპოზიციური პარტიების უზარმაზარი მასა ჰყავს, ხოლო უთანხმოებები მათ შორის იმდენადვეა განპირობებული პირადი პაექრობით, როგორც პოლიტიკით.

ისინი იმაზეც კი ვერ შეთანხმებულან, როგორ გაუწიონ ოპონირება მთავრობას. ზოგიერთი, მაგალითად, ნინო ბურჯანაძე ითხოვს ჟასმინის ტიპის რევოლუციას, რომელიც 2 მაისს „ეროვნული დაუმორჩილებლობის დღით“ უნდა დაიწყოს. ეს პოზიცია ალბათ ვერ იქნება წარმატებული და თუნდაც იმიტომ, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის ოპონენტთა შორის ყველაზე სანდო ირაკლი ალასანია მედგრად ეწინააღმდეგება ქუჩის აქტიურობას და საარჩევნო ყუთებს ანიჭებს უპირატესობას.

არჩევნების დროს ოპოზიციამ ვერ მოახერხა ერთიანი კანდიდატის შერჩევა და ნაწილობრივ ამიტომაც მმართველმა პარტიამ ასე გამოიჩინა თავი გასული წლის არჩევნებში. ის რაც ოპოზიციურ პოლიტიკოსებს ჰყოფს, ხშირად ჩრდილავს იმას, რაც მათ აერთიანებს და ხანდახან ამას სათაკილო შედეგებიც მოჰყვება ხოლმე. ორმა ჩვეულებრივ სიტყვაუხვმა მნიშვნელოვანმა ოპოზიციურმა ფიგურამ მიუნხენის აეროპორტში საუბარში მუშტები მოიშველია.

ასეთი გათიშულობა მხოლოდ განამტკიცებს ხელისუფლებას. გაზეთმა The Messenger-მა თავისი ერთი მრავლისმეტყველი საპირველაპრილო სტატია ასე დაასათაურა – „ქართული ოპოზიცია რელიგიური ხდება“. „გავაცნობიერეთ, რომ ჩვენ უფრო მეტს გავუკეთებთ ქვეყანას ლოცვით, ვიდრე პოლიტიკურ აურზაურში მონაწილეობით“, – თითქოს ასეთი რამ განუცხადებია ერთ-ერთი პარტიის ლიდერს.

The Economist

# ევროსაბჭომ საქართველო წაახალისა

**ევროპის პარლამენტარებმა 130 ხმით 8-ის წინააღმდეგ მიიღეს რეზოლუცია საქართველოს მიერ იმ ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით, რომლებიც იკისრა ევროსაბჭოში შესვლის დროს 1999 წელს**

პოზიტიურ ტონში თავშეკავებულმა დოკუმენტმა რუსეთის დელეგაციის ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვია. მისი ხელმძღვანელის კონსტანტინ კოსაჩევის სიტყვებით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინ დაგვიხატეს სიტუაცია საქართველოში „მეტად სასიამოვნო ფერებში“. მისი კონტაქტებით საქართველოს ოპოზიციასთან და მმართველ პარტიასთან ირკვევა, რომ ობიექტური სურათი განსხვავდება წარმოდგენილისგან.

„მე იმის მომხრე ვარ, რომ გათვალისწინებულ იქნეს ყველა თვალსაზრისი. ვიცი, რომ როდესაც განიხილება რუსეთი, სწორედ პარლამენტის გარეთ მყოფი ოპოზიციის თვალსაზრისს ითვალისწინებენ და შეფასებებშიც სწორედ ეს თვალსაზრისი ჭარბობს ხოლმე“, – განაცხადა კოსაჩევმა.

ეუთომ აღნიშნა „მნიშვნელოვანი პროგრესი საქართველოს მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებაში. კერძოდ, დემოკრატიის და სამოქალაქო საზოგადოებათა ინსტიტუტების განვითარებაში, ოპოზიციის როლის გაძლიერებაში, უმცირესობათა უფლებების დაცვაში, კორუფციასთან ბრძოლაში.

მაგრამ ვერც კრიტიკას აუარეს გვერდი. რეზოლუციაში საუბარია საარჩევნო სისტემის ისეთი სრულყოფის აუცილებლობაზე, რომ იგი იწვევდეს საყოველთაო ნდობას. ეუთომ დადებითად შეაფასა დროის მიხედვით უკანასკნელი საკონსტიტუციო ცვლილებები, მაგრამ ამავე დროს მოუწოდა, მხედველობაში მიიღონ ევროსაბჭოს საკონსულტაციო ორგანოს ვენეციის კომისიის რეკომენდაციები.

პარლამენტარებმა შეშფოთება გამოთქვეს „სამართალდაცვის აღსრულების პრობლემებთან“ დაკავშირებით, იმ მტკიცებებთან დაკავშირებით, რომ არსებობს „ელიტარული კორუფცია“, პოლიციის მიერ ძალის გადაჭარბებით გამოყენება საპროტესტო აქციების დროს. გააკრიტიკეს აგრეთვე ისიც, თუ როგორ ასახლებდნენ ლტოლვილებს სახელმწიფო შენობებიდან. ეუთომ დაბეჯითებით მოითხოვა ხელი მოეწეროს რეგიონალური ენებისა და ეროვნულ უმცირესობათა ენების ევროპის ქარტიას.

კიდევ ერთი მოთხოვნა – მოეწყოს „საერთაშორისოჰუმანიტარული და სამართალდაცვითი ნორმების სავარაუდო დარღვევის დამარწმუნებელი გამოკვლევა იმ პირების მიმართ, რომლებიც მისი იურისდიქციისა და კონტროლის ქვეშ არიან და რაც მოხდა რუსეთთან 2008 წლის ომის დროს“. ეუთომ კვლავ დაგმო ადამიანის უფლებათა დარღვევა ამ ომის შედეგად. კერძოდ, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა და იმ პირობების უქონლობა, რომ ლტოლვილები დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში.

საქართველოში დემოკრატიული რეფორმების შესახებ ისაუბრა ეუთოს ერთ-ერთმა მომხსენებელმა მაიკლ იანსენმა.

„ევროსაბჭოსთვის კარგად არის ცნობილი, თუ რა მოხდა 2008 წელს. მიუხედავად ამისა, საქართველო მაინც სწორი კურსით მიდის. დღეს იგი უფრო დემოკრატიული და ღია ქვეყანაა“, – აღნიშნა მან.

2008 წლის 8 აგვისტოს უღიარებელ სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკაში დაიწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები. საქართველოს ჯარები შევიდნენ ცხინვალში. მოგვიანებით რუსეთის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და იქიდან გამოდევნეს ქართველი სამხედროები. აგვისტოს ბოლოს რუსეთმა აღიარა სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა. პასუხად თბილისმა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა მოსკოვთან და ორი უღიარებელი რესპუბლიკა გამოაცხადა ოკუპირებულ ტერიტორიებად.

ИЗВЕСТИЯ

# დედამიწის ზურგზე



**იაპონური ცუნამი რეკორდული აღმოჩნდა – ეს იყო 38 მეტრის სიმაღლის ტალღები**

ადრე იტყობინებოდნენ, რომ ტალღის სიმაღლე, რომელიც გამოწვეული იყო 11 მარტის მიწისძვრით, ადგილებზე ათ მეტრს აჭარბებდა. სტიქიის მსხვერპლთა რიცხვმა 28 ათას კაცს გადააჭარბა. მისი მასშტაბების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ ახალი გამაოგნებელი კადრებით, რომლებიც ცუნამის რაიონში გადაიღეს.

* * *

**მინსკში მომხდარი აფეთქების მსხვერპლთა რიცხვი გაიზარდა**



ერთ-ერთი დაჭრილი საავადმყოფოში გარდაიცვალა, დაღუპულთა რიცხვი გაიზარდა 13 კაცამდე, იტყობინება ბელარუსის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. სტაციონარულ მკურნალობაზე იმყოფება 161 კაცი, 21 დაჭრილი მძიმე მდგომარეობაშია. საქმესთან დაკავშირებით დაკავებულია 5 კაცი, წინა დღით გამოქვეყნდა პირველი ვიდეო კადრები ეჭვმიტანილებით.

* * *



**ჩინეთში მედვედევი გამოვიდა საპროგრამო სიტყვით ოთხი „ი“-ს განვითარების შესახებ და გაიხსენა ინტელექტის შესახებაც**

სახელმწიფო რუსეთში, პრეზიდენტის სიტყვებით, წყვეტს თავის ამოცანებს ინოვაციების, ინვესტიციების, ინფრასტრუქტურისა და ინსტიტუტების განვითარების საფუძველზე. ამ ოთხ „ი“-ს მან დაუმატა აგრეთვე ინტელექტიც. ამას გარდა ის შეეხო იაპონიის ატომური ელექტროსადგურის ავარიის თემას და განაცხადა, რომ მალე წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის წინადადებებს მშვიდობიანი ატომის განვითარების შესახებ ამ კატასტროფის გათვალისწინებით.

* * *

**ფინეთში შამილ ბასაევის ძმას ასამართლებენ**



იმის შესახებ, რომ აბდულხამიდ მეჩიევი არის ჩეჩენი ტერორისტის შამილ ბასაევის ძმა, ცნობილი გახდა გამოძიების დროს ფინეთში ჩეჩნების უკანონო შესვლასთან დაკავშირებით. საქმესთან დაკავშირებით მეორე ფიგურანტად გადის საიტის „კავკასცენტრის“ რედაქტორი, რომელმაც გამოაქვეყნა დოკუ უმაროვის მიმართვა „დომოდედოვოში“ ტერაქტთან დაკავშირებით.

* * *

**ლიბიელმა მეამბოხეებმა კადაფის აღმოუჩინეს „უახლესი რუსული შეიარაღება“, მათ შორის მომავლის უხილავი ტანკიც**



მათი სიტყვებით, კადაფი ღებულობს რუსული წარმოების უახლეს შეიარაღებას, მათ შორის ტანკ ტ-92-საც. ამიტომ არ შეუძლიათ მათ გამარჯვება. ექსპერტები საუბრობენ, რომ ტანკი ტ-92 არ არსებობს ბუნებაში, ხოლო ტ-90-ს ჰყიდდნენ მხოლოდ ინდოეთში. აჯანყებულთა განცხადებას განმარტავენ, როგორც სურვილს – ჩართონ ნატო სახმელეთო ოპერაციებში.

* * *

**აშშ-ის სენატორები ობამასგან მოითხოვენ, შეამციროს თანამშრომლობა რუსეთთან რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საკითხში**



მოსკოვთან თანამშრომლობა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვასთან დაკავშირებით „იწვევს განგაშს და იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმისთვის, რომ ჩაიშალოს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების ინტერესები“, მიაჩნიათ სენატორებს.

* * *



**აშშ-ში გარდაიცვალა დედამიწის უხუცესი მამაკაცი 114 წლის ასაკში**

უოლტერ ბრიუნინგი სიცოცხლის ბოლო ერთი თვის განმავლობაში იყო საავადმყოფოში მეთვალყურეობის ქვეშ. 39 წლის განმავლობაში ჰოსპიტალიზაციამდე ის ხანდაზმულთა თავშესაფარში იყო. პლანეტის ყველაზე უხუცეს ადამიანად ითვლება ბესი კუპერი ჯორჯიის შტატიდან. ქალი 114 წლისაა. იგი ბრიუნინგზე 26 დღით უფროსია.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ცისფერი ეკრანი: კულტურა, სპორტი



**16 აპრილი, შაბათი**

I არხი
12.15 მხ. ფილმი „ამაზონის განძი“
14.00 კალათბურთი. „არმია“ – „ენერჯი“
18.00 კონცერტი: ჰარი მური და მეგობრები
22.00 „სი ბემოლი“
01.00 მხ. ფილმი „შემოდგომის ლეგენდები“
04.40 ქართ. მხ. ფილმი „ექსპრეს-ინფორმაცია“

II არხი
20.00 ფილმი „ამაზონის განძი“
22.40 კონცერტი: ეკა მამალაძე
00.40 ქართ. მხ. ფილმი „ექსპრეს-ინფორმაცია“

რუსთავი-2
12.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
13.00 მხ. ფილმი „ჰარფილდი“
15.30 ქართ. მხ. ფილმი „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“
19.50 სერიალი „ელენეს მოჩვენება“
22.00 ქართ. სერიალი „მეზობლები“
23.00 ქართ. სერიალი „დეტექტივები“
00.00 მხ. ფილმი „ანტარქტიდა“
02.30 მხ. ფილმი „შიშველი იარაღი 2“

მზე
08.00 მხ. ფილმი
12.00 სერიალი „ვერონიკა მარსი“
14.00 სერიალი „ელიზა და რევომბროზა“
15.00 მხ. ფილმი
18.00 მხ. ფილმი
20.00 მხ. ფილმი
23.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.ძ
00.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.)

იმედი
11.45, 22.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში“
12.35,18.40 სერიალი „როცა სიყვარული მოდის“
14.30 „გოლდენ ტალანტი 2011“
16.00 სერიალი „მონტეს ოჯახი“
17.40 სერიალი „სიყვარულის ზღვა“
21.00 სერიალი „ქალბატონი“
23.00 მხიარულთა და საზრიანთა კლუბის ჩემპიონატი
01.15 „მკვლელის პორტრეტი“
02.15 მხ. ფილმი „ნედ კელი“
04.45 მხ. ფილმი „წინასწარმეტყველი“ (სუბტირ.)
07.15 სერიალი „ბოშები“

აჭარა
09.30, 23.00 სერ. „კეთილშობილი თაღლითები“
12.30, 21.00 სერიალი „იდუმალი სტუმარი“
13.15, 19.30 სერიალი „წყნარი ოკეანეს მარგალიტი“
16.30 სერიალი „ლინდა და ბრიგადირი“
00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება
12.15 მხ. ფილმი „საბუდარელი ჭაბუკი“
13.45 მხ. ფილმი „ძმა“
15:.30 ოპერა
19.35 მხ. ფილმი „ქალაქი ანარა“
00.25 მხ. ფილმი „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“

საქართველო
11.00 მხ. ფილმი „დედოფალი ელისაბედ პირველი“
12.05 მხ. ფილმი „X-ადამიანები: უკანასკნელი ბრძოლა“
15.55 მხ. ფილმი „დაქირავებული ჯარისკაცები“
20.10 მხ. ფილმი „თეთრი ოლეანდრი“
00.15 მხ. ფილმი „ბენჟამენ ბატონის უცნაური ამბავი“

GMG ჰოლივუდი
10.00 მხ. ფილმი „მოგზაურობა ამერიკაში“
12.00 მხ. ფილმი „სიყვარულით პარიზიდან“
14.00 ფილმი „ამერიკული ქორწილი“
16.00 მხ. ფილმი „დაბადების დღე“
18.00 მხ. ფილმი „შეშლილი პროფესორი“
20.00 მხ. ფილმი „ეროვნული საგანძური 2“
22.00 მხ. ფილმი „რომეო და ჯულიეტა“
02.00 მხ. ფილმი „პირველი რაინდი“

GMG კინოგურმანი
10.00 მხ. ფილმი „როლერბოლი“
12.00 მხ. ფილმი „ინდიანა ჯონსი და დაკარგული კიდობნის მაძიებელი“
14.00 ფილმი „ბლუბერი“
16.30 მხ. ფილმი „ფენიქსის გაფრენა“
18.00 მხ. ფილმი „ნიშანი“
20.00 მხ. ფილმი „დაისიდან აისამდე“
22.00 მხ. ფილმი „სხვა 48 საათი“
02.00 მხ. ფილმი „მევერიკი“

GMG TV-ნოველა
08.00,12.00,16.00, 20.00 „ანხელის საიდუმლო“
09.00,13.00,17.00, 21.00 „ღალატი“
13.00,14.00,18.00, 22.00 „ცოდვის ტვირთი“
11.00,15.00,19.00, 23.00 „ველური გული“

რეგიონი TV – ალანია
12.05 მხ. ფილმი „სიცოცხლე, როგორიც ის არის“
13.50 მხ. ფილმი „ასტერიქსი ოლიმპიურ თამაშებზე“
15.45 მხ. ფილმი „ნაბიჯი წინ 3“
18.05 მხ. ფილმი „მუმია“
20.30 მხ. ფილმი „კოკო შანელი“
00.25 მხ. ფილმი „შემოდგომის ლეგენდები“

**17 აპრილი, ორშაბათი**

I არხი
10.00 მხ. ფილმი „შინაპატიმრობა“
12.15 მხ. ფილმი „პატარა ქალაქები“
18.00 კონცერტი: ა. კორსანტია „იავნანა“
22.00 ევროვიზია 2011 (დღიური)
22.30 კონცერტი: დ. ოქელაშვილი
23.00 სერიალი „ზიანი“
01.00 მხ. ფილმი „ბაგსი“

II არხი
15.00 სპექტაკლი „რევიზორი“
21.30 მხ. ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა“
23.00 კონცერტი: ანსამბლი „თბილისი“
00.05 მხ. ფილმი „შემოდგომის ლეგენდები“

რუსთავი-2
13.00 მხ. ფილმი „საჰარა“
15.20 სერიალი „სიამაყე“
22.00 ქართ. სერიალი „მეზობლები“
23.00 სერიალი „დეტექტივები“
00.00 მხ. ფილმი „აპოკალიპტო-აპოკალიფსი“
02.20 მხ. ფილმი

მზე
08.00 მხ. ფილმი
12.00 სერიალი „ვერონიკა მარსი“
14.00 სერიალი „ელიზა დი რევომბროზა“
15.00 მხ. ფილმი
18.00 მხ. ფილმი
23.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.)
00.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.)

იმედი
12.00,22.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში“
12.35 სერიალი „ჰანა მონტანა“ (მე-3, მე-4 სერ.)
19.05 ქართ. სერიალი „გოგონა გარეუბნიდან“
00.30 სერიალი „მკვლელის პორტრეტი“
01.30 მხ. ფილმი „ევროპელი ჟიგოლო“ (სუბტიტრ.)
02.45 მხ. ფილმი „მისტერ და მისის სმითები“ (სუბტიტრ.)
06.30 სერიალი „ბოშები“

აჭარა
09.30, 23.00 სერიალი „კეთილშობილი თაღლითები“
12.00, 21.00 სერიალი „იდუმალი სტუმარი“
16.30 სერიალი „ლინდა და ბრიგადირი“
19.30 სარიალი „წყნარი ოკეანეს მარგალიტი“
00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება
12.15. მხ. ფილმი „ქალაქი ანარა“
19.30 მხ. ფილმი „ცისფერი მთები“
00.40 ოპერა

საქართველო
11.00 სერიალი „დედოფალი ელისაბედ პირველი“
12.05 სერიალი „რკინის არწივები 3“
14.00 „X-ადამიანების წარმოშობა“
15.55 მხ. ფილმი „იურული პერიოდის პარკი“
18.10 მხ. ფილმი „უკანასკნელი გლადიატორი“
20.10 მხ. ფილმი „აგენტი 007: მოწყალების კვანტი“
22.10 მხ. ფილმი „88 წუთი“
00.10 მხ. ფილმი „განდგომილები“

GMG ჰოლივუდი
10.00 მხ. ფილმი „პატარძლის მამა“
12.00 მხ. ფილმი „პირველი რაინდი“
14.00 მხ. ფილმი „სიყვარულით პარიზიდან“
16.00 მხ. ფილმი „ამერიკული ქორწილი“
18.00 მხ. ფილმი „დაბადების დღე“
20.00 მხ. ფილმი „კაზინო „როიალი“
22.00. მხ. ფილმი „მოგზაურობა ამერიკაში“
00.00 მხ. ფილმი „ეროვნული საგანძური 2“
02.00 მხ. ფილმი „რომეო და ჯულიეტა“

GMG კინოგურმანი
10.00 მხ. ფილმი „სხვა 48 საათი“
12.00 მხ. ფილმი „მევერიკი“
14.00 მხ. ფილმი „ინდიანა ჯონსი და დაკარგული კიდობნის მაძიებელი“
16.00 მხ. ფილმი „ბლუბერი“
18.00 მხ. ფილმი „ფენიქსის გაფრენა“
20.00 მხ ფილმი „მოჩვენება და წყვდიადი“
22.00 მხ.ფილმი „როლერბოლი“
00.00 მხ. ფილმი „დაისიდან აისამდე“
02.00 მხ. ფილმი „ნედ კელი“

GMG TV-ნოველა
08.00,12.00,16.00, 20.00 „ანხელის საიდუმლო“
09.00,13.00,17.00, 21.00 „ღალატი“
10.00,14.00,18.00, 22.00 „ცოდვის ტვირთი“
11.00,15.00,19.00, 23.00 „ველური გული“

რეგიონი TV – ალანია
13.10 მხ. ფილმი „ წყლის სამყარო“
15.20 მხ. ფილმი „გლადიატორი“
18.40 მხ. ფილმი „მამიკოს ქალიშვილი“
21.15 მხ. ფილმი „სქაილაინი“
22.45 მხ. ფილმი „ვიდრე მარილზე არ გახვედი“
00.30 მხ. ფილმი „ბურლესკი“

**18 აპრილი, ორშაბათი**

I არხი
15.00, 21.00 სერიალი „ხუთი და“
00.30 მხ. ფილმი „პოლოკი“

II არხი
09.00 მხ. ფილმი „შინაპატიმრობა“
20.00 მხ. ფილმი „პატარა ქალი“
01.00 მხ. ფილმი „უკანასკნელი სამურაი“

რუსთავი-2
10.00 სერიალი „ცოდვილი“
11.00 სერიალი „მიმწყვდეული“
17.00 სერიალი „მორენას ვნება“
18.45 სერიალი „დანიელა“
19.50 სერიალი „ელენეს მოჩვენება“
22.00 ნიჭიერი
00.00 საფეხბურთო ღამე
01.00 მხ. ფილმი „ცათა სასუფეველი“

მზე
09.00 სერიალი „ჩენტო ვეტრინე“
11.00, 20.00 სერიალი „დაუნდობელი სამყარო“
12.00, 21.00 „გაუხსნელი საქმე“
15.20 სერიალი „ორნახევარი კაცი“
17.00 მხ. ფილმი
19.00 სერიალი „ვნებათა მიწა“
22.00 მხ. ფილმი
00.00 მხ. ფილმი

იმედი
10.00 სერიალი „სილამაზის მსხვერპლი“
11.30, 17.40 სერიალი „სიყვარულის ზღვა“
14.40,18.40 სერიალი „როცა სიყვარული მოდის“
16.00 სერიალი „მონტეს ოჯახი“
22.00 მხიარულთა და საზრიანთა კლუბის ჩემპიონატი
01.45 მხ. ფილმი „მელოტი ძიძა“ (სუბტიტრ.)
03.50 მხ. ფილმი „ღვთის გამოგზავნილი“ (სუბტიტრ.)
06.30 სერიალი „ბოშები“

აჭარა
09.30, 23.00 სერიალი „კეთილშობილი თაღლითები“
11.50, 21.00 სერიალი „იდუმალი სტუმარი“
12.30, 19.30 სერიალი „წყნარი ოკეანეს მარგალიტები“
16.30 სერიალი „მხოლოდ შენ“
00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება
12.10. მხ. ფილმი „ნაზარის უკანასკნელი ლოცვა“
13.30 კონცერტი: ბარდანაშვილის „მწუხარების ლოცვანი“
15.30 სპექტაკლი „ხიდი“
18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას

საქართველო
09.10,12.15 სერიალი „გზების რაინდი“
13.10 მხ. ფილმი „ხალხის მტერი“
15.40 მხ. ფილმი „წარმოუდგენელი“
17.45 სერიალი „პელზოი“
19.30 მხ. ფილმი „კატინი“
22.00 მხ. ფილმი „თმა“
00.50 მხ. ფილმი „ წყვდიადის წინააღმდეგ“

GMG ჰოლივუდი
10.00 მხ. ფილმი „მოგზაურობა ამერიკაში“
12.00 მხ. ფილმი „რომეო და ჯულიეტა“
14.00 მხ. ფილმი „პირველი რაინდი“
16.00 მხ. ფილმი სიყვარულით პარიზიდან“
18.00 მხ. ფილმი „ამერიკული ქორწილი“
20.00 მხ. ფილმი „სიცოცხლის შემდეგ“
22.00. მხ. ფილმი „პატარძლის მამა“
00.00 მხ. ფილმი „კაზინო „როიალი“
02.00 მხ. ფილმი „ეროვნული საგანძური 2“

GMG კინოგურმანი
10.00 მხ. ფილმი „როლერბოლი“
12.00 მხ. ფილმი „ნედ კელი“
14.00 ფილმი „ფენიქსის გაფრენა“
16.30 მხ. ფილმი ბლუბერი“
18.00 მხ. ფილმი „ინდიანა ჯონსი: დაკარგული კიდობნის მაძიებელი“
20.00 მხ. ფილმი „უკან მომავალში 1“
22.00 მხ. ფილმი „სხვა 48 საათი“
02.00 მხ. ფილმი „დაისიდან აისამდე“

GMG TV-ნოველა
08.00,12.00,16.00, 20.00 „ანხელის საიდუმლო“
09.00,13.00,17.00, 21.00 „ღალატი“
10.00,14.00,18.00, 22.00 „ცოდვის ტვირთი“
11.00,15.00,19.00, 23.00 „ველური გული“

რეგიონი TV – ალანია
09.45, სერიალი „ჯაშუში ქალი“ (მე-11 სერ.)
11.45 მხ. ფილმი „ბორნის იდენტიფიკაცია“
13.40 მხ. ფილმი „ჰანა მონტანა“
15.45 მხ. ფილმი „კაზანოვა“
18.00 მზ. ფილმი „შემთხვევითი ქმარი“
22.05 მხ. ფილმი „გადაგდებული“
00.25 მხ. ფილმი „ოთხი ნაკრტენი“



**16 აპრილი, 2011 წ.**

კინოთეატრი რუსთაველი (დარბაზი 1ძ
12:00 - „რიო“ 3D - (10-11 ლარიძ
14:00 - „რიო“ 3D - (12-13 ლარიძ
16:00 - „რიო“ 3D - (12-13 ლარიძ
18:00 - „რიო“ 3D - (12-13 ლარიძ
20:15 - „რიო“ 3D - (12-13 ლარიძ
22:15 - „წითელქუდა“ - (10-11 ლარიძ
რუსთაველის გამზ. 5 ტელ: 932-253, 555-000

კინოთეატრი რუსთაველი (დარბაზი 2ძ
12:00 - „ერთხელ შუა ქალაქში“ - (6 ლარიძ
14:00 - „ერთხელ შუა ქალაქში“ - (7 ლარიძ
16:00 - „ჭამა და სექსი“ - (8 ლარიძ
18:00 - „ჭამა და სექსი“ - (9 ლარიძ
20:00 - „ჭამა და სექსი“ - (10 ლარიძ
22:15 - „ჭამა და სექსი“ - (10 ლარიძ
რუსთაველის გამზ. 5 ტელ: 932-253, 555-000

კინოთეატრი „ამირანი„ (დიდი დარბაზიძ
12:00 - „რიო“ 3D - (10-11 ლარიძ
14:00 - „რიო“ 3D - (12-13 ლარიძ
16:00 - „რიო“ 3D - (12-13 ლარიძ
18:00 - „რიო“ 3D - (12-13 ლარიძ
20:00 - „ნიკო... აპლოდისმენტები“ - (10-11 ლარიძ
22:00 - „ნიკო... აპლოდისმენტები“ - (10-11 ლარიძ
კოსტავას ქ. 36 ტელ: 99-99-55

კინოთეატრი „ამირანი“ (მცირე დარბაზიძ



12:15 - „ერთხელ შუა ქალაქში“ - (6 ლარიძ
14:15 - „ნიკო... აპლოდისმენტები“ - (7 ლარიძ
16:15 - „ნიკო... აპლოდისმენტები“ - (8 ლარიძ
18:15 - „ნიკო... აპლოდისმენტები“ - (9 ლარიძ
20:15 - „ჭამა და სექსი“ - (10 ლარიძ
22:15 - „ჭამა და სექსი“ - (10 ლარიძ
კოსტავას ქ. 36 ტელ: 99-99-55

რუსთაველის თეატრი (დიდი სცენაძ
19:45 - „დაბოლილი მთვარე“ - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარიძ რუსთაველის გამზ. 17 ტელ: 72-68-68

მარჯანიშვილის თეატრი
20:00 - „დეკამერონი“ - (ბილეთის ფასი - 4 - 11 ლარიძ მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966

მარჯანიშვილის თეატრი (თეატრი სხვენშიძ
20:00 - „პეიზაჟს სითბო აკლია“ - (ბილეთის ფასი - 11 ლარიძ მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966

თავისუფალი თეატრი
19:00 - „თაფლობის თვე“ - (ბილეთის ფასი - 5, 7, 9 ლარიძ რუსთაველის 2 ტელ: 98-58-21

გრიბოედოვის თეატრი
18:00 - „ქორწინება“ (პრემიერაძ - (ბილეთის ფასი - 5 ლარიძ რუსთაველის გამზ. 2 ტელ: 93-11-06

ილიას უნივერსიტეტის თეატრი
19:00 - „სხვისი ცოლი და ქმარი საწოლის ქვეშ“ (პრემიერაძ - (ბილეთის ფასი - 5 ლარიძ ი. ჭავჭავაძის გამზ. 32. ტელ: 29-47-15

გაბრიაძის თეატრი
19:15 - „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“ (12 - (ბილეთის ფასი - 5, 8, 10, 15 ლარიძ შავთელის ქ. 13, ტელ: 98-65-90, 868 78-18-97

ახმეტელის თეატრი
19:00 - „ვერაგობა და სიყვარული“ - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარიძ ვეკუას ქ. 8 ტელ: 62-59-73, 62-61-97

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი
12:00 - „ვარსკვლავბიჭუნა“
15:00 - „ალისფერი ყვავილი“ - (ბილეთის ფასი - 5 ლარიძ დ. აღმაშენებლის გამზ. 99/1 ტელ: 95-78-74, 95-39-27

სიტუაცია

# სახიფათო ტენდენცია



მაისში სოხუმი მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს დომინოშიო – შევიტყვეთ ამ დღეებში.

თავიდან გაგვეღიმა, მაგრამ როცა ისიც გვაუწყა წყარომ, ასეთი ნდობა აფხაზეთის დედაქალაქს ამერიკელთა ლობისტობით გამოუცხადესო, სახუმაროდ ნამდვილად აღარ გვქონდა საქმე. მით უმეტეს მაშინ, როცა მომავალ ფორუმში 30 ქვეყნის 300-მდე წარმომადგენელი აპირებს მონაწილეობის მიღებას.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რამდენად სარწმუნოა ოკეანისგაღმელთა რიტორიკა: საქართველო ჩვენი სტრატეგიული პარტნიორიაო. ეს რომ ასე იყოს, განა შეუწყობდნენ ხელს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ასეთი მაღალი რანგის ტურნირის გამართვას? აღარაფერს ვამბობთ სირაქლემას პოზაში მყოფ აქაურ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს შესახებ, რომელიც, თითქოსდა არაფერი ხდებაო, კრინტს არ ძრავს და ერთ ყურში შეშვებულ ინფორმაციას მეორედან უშვებს.

და ბოლოს: ხომ გსმენიათ დომინოს პრინციპის შესახებ. ჰოდა, თუ ასე განვითარდა მოვლენები შემდგომაც, შორს არ არის ის დღე, როცა ანალოგიური ასპარეზობების ორგანიზებას პოლიტიკანთა ზეგავლენის ქვეშ მოქცეული საერთაშორისო სპორტული სტრუქტურები სამაჩაბლოს, მთიან ყარაბაღს, დნესტრისპირეთს, კოსოვოსა და სხვა თვითაღიარებულ ერთეულებს დააკისრებენ.

**გია პლატონიშვილი**

ჭადრაკი

# ჩემპიონის საიუბილეო საჩუქარი



3 მაისს ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონსა და საჭადრაკო ოლიმპიადების თერთმეტგზის გამარჯვებულ ნონა გაფრინდაშვილს 70 წელი უსრულდება. ასაკის მიუხედავად, იგი აქტიურ სპორტულ ცხოვრებას განაგრძობს. მსოფლიო რეიტინგით საუკეთესო ასეულის წევრმა ამ დღეებში იტალიურ კურმაიერში ვეტერანთა შორის ევროპის ჩემპიონატებში მოსინჯა ძალები. ჯერ სწრაფ ჭადრაკში იასპარეზა და ვერცხლის მედალი მოიპოვა, შემდეგ კი კლასიკური პარტიებით იბრძოლა კვარცხლბეკზე ასასვლელად, 9 შესაძლებლიდან 5,5 ქულას მოუყარა თავი და ჩემპიონობაც ხვდა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით, მეორე-მესამე ადგილებზე რუსი გალინა სტრუტინსკაია და თბილისელი თამარ ხმიადაშვილი გავიდნენ.

კაცებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. მიხაი შუბა (რუმინეთი, 7,5 ქულაძ, 2. ვლადიმირ ოხოტნიკი (საფრანგეთი, 7ძ, 3. გენადი ტიმოშჩენკო (სლოვაკეთი, 7ძ.

**ლაშა დიდია**

კალათბურთი

# დღეს ფინიშია



**მართალია, სუპერლიგის რეგულარული სეზონი დღეს სპორტის სასახლეში დანიშნული ოთხი დასკვნითი მატჩით სრულდება, მაგრამ მათ შედეგებს თითქმის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან პლეი-ოფის შვიდი მონაწილე ვადამდე გაირკვა.**

რადგან ზემოთ სიტყვა „თითქმის“ დავწერეთ, განვმარტავთ, რომ ერთადერთ ღიად დარჩენილ კითხვას პასუხი სტუ-ს და „სასოფლოს“ შეხვედრის შემდეგ გაეცემა და სწორედ იგი გამოავლენს მერვე მეოთხედფინალისტს.

მაშ ასე, დღეს ითამაშებენ: **„სამედიცინო“ – „ბათუმი“** (12 სთძ, **„არმია“ – „ენერჯი ინვესტი“** (14 სთძ, **„სოხუმი“ – შსს** (16 სთძ და **სტუ – „სასოფლო“** (18 სთძ.

**გიორგი შოთაძე**

წლები

# მრავალჟამიერ!

**ოქროს სასტვენის მფლობელი, მე-20 საუკუნის საუკეთესო მსაჯი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საუკეთესო ექსტრაკლასის არბიტრი, მსოფლიოს მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე, ღირსების ორდენოსანი... ბატონ შოთა ზუკაკიშვილს 85 წელი შეუსრულდა.**

სახელგანთქმული სპორტსმენი საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში დაიბადა. ორი წლის ასაკში დაობლებულს საკმაოდ მძიმე ბავშვობა ჰქონდა. ნათესავების დახმარებით თბილისს მოაშურა. ერთხელ მუშტაიდის ბაღში მეგობრების წაქეზებით ჭიდაობაში მონაწილეობა მიიღო. ამის შემდეგ აქტიურად ჩაება სპორტში, ჯერ – თავისუფალ ჭიდაობაში, შემდეგ – სამბოში. 20 წლისამ საბჭოთა კავშირის პირველობაზე II ადგილზე გავიდა. ეს მისთვის საბედისწერო გამოდგა. ფეხის ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა, აქტიურ სპორტზე უარი ეთქვა.

შოთა მწვრთნელი გახდა, დღემდე მან 130 სპორტის ოსტატი აღზარდა, მათ შორის ისეთი ცნობილი ფალავნები, როგორებიც არიან შენგელი ფიცხელაური, გივი ონაშვილი, რამაზ ხარშილაძე და ა. შ.

პროფესიონალი მწვრთნელი დღეს ყველასთვის სამართლიანი მსაჯია და უმაღლესი რანგის საერთაშორისო ტურნირებში სპეციალურად იწვევენ.

– 85 წლისა ვარ და სპორტის გარეშე ერთ დღესაც ვერ გავძლებ . სხვათა შორის, ჩემი ვაჟებიც ჭიდაობდნენ: ვასიკო ახალგაზრდებს შორის საბჭოთა კავშირის და სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ჩემპიონი იყო, სოსო – სპორტის ოსტატი და არსენ მეკოკიშვილის თასის მფლობელი. ჩემი პატარა შვილთაშვილიც ვარჯიშობს. ერთი სიტყვით, ჩვენს ოჯახში სპორტთან კავშირი არ წყდება. – მითხრა იუბილარმა.

ბატონ შოთას ქართული სპორტისთვის კიდევ მრავალ წელს სამსახურს ვუსურვებთ.

**ხატია ცარციძე**



**სურათზე: სტიქიაშია იუბილარი.**

სამთო თხილამურები

# მედლები განაწილდა

**საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატი სამთო თხილამურებში რამდენიმე ეტაპად გაიმართა, თანაც სამ ასაკობრივ ჯგუფში. გაუწყებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას.**

**1995 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი. გოგონები.** 1. სუსანა გავა (ბაკურიანი, 265 ქულა,ძ 2. ნატაშა გავა (ბაკურიანი, 205ძ, 3. თამუნა ჯალმაიძე (გუდაური, 119ძ. **ვაჟები.** 1. კოტე ვახტანგიშვილი (ბაკურიანი, 235ძ, 2. დავით გავა (ბაკურიანი, 162ძ, 3. იგორ გავა (ბაკურიანი, 156ძ.

**1996-1997 წლებში დაბადებულნი. გოგონები.** 1. ანასტასია კვირიკაძე (გუდაური, 270ძ, 2. ნატა მგელაძე (თბილისი, 208ძ, 3. ნუცა ხურცილავა (გუდაური, 200ძ, **ვაჟები.** 1. სოსლან ბაკაევი (ბაკურიანი, 184ძ, 2. გალო ჯაფარიძე (გუდაური, 167ძ, 3. ნოდარ ჩუბკო (ბაკურიანი, 165ძ.

**1998-1999 წლებში დაბადებულნი. გოგონები.** 1. ანა გორდეზიანი (გუდაური, 190ძ, 2. მარიამ



ჭკადუა (მესტია, 165ძ, 3. ქეთევან ჩოგაძე (აჭარა, 161ძ. **ვაჟები.** 1. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი, 212ძ, 2. ნიკოლოზ ცაგარელი (გუდაური, 210ძ, 3. ვალიკო მარსაგიშვილი (გუდაური, 172ძ.

**ლექსო ცინცაძე**

ჩოგბურთი

# მაკა ისევ პოდიუმს უმიზნებს



**იტალიის ქალაქ პომეცუაში ქართველმა ჩოგბურთელმა მაკა ჩახნაშვილმა ამას წინათ 10-ათასიანი ტურნირი მოიგო. იმავე ქალაქში მან მეორე შეჯიბრებაშიც გადაწყვიტა ძალების მოსინჯვა და ჯერჯერობით წარმატებით მიიწევს წინ.** პირველ ნომრად განთესილმა ჩოგბურთელმა სტარტზე რუმინელი ელორა დაბია დაამარცხა – 6:3, 7:6, მეორე წრეში ბულგარელ მარტინა გლედაჩევას სძლია – 6::3, 6:3, ხოლო მეოთხედფინალში ფრანგ ვიქტორია ლარიეს დააყრევინა ფარხმალი – 1:6, 6:0, 6:3. ნახევარფინალში ითამაშებენ: ჩახნაშვილი – კრისტინა დინუ (რუმინეთიძ, რემონდინა – გრიმალსკა (ორივე – იტალიაძ.

**გივი გაგუა**

ფეხბურთი

# პორტაპრილი

**იყო დრო, როცა ევროტურნირების დასკვნით ეტაპებზე ერთი ქვეყნის რამდენიმე კლუბი გასულა (მაგალითად, იტალია, გერმანია და ინგლისიძ, მაგრამ პორტუგალიელთა ასეთი აღზევება, დაგვეთანხმებით, წლეულს პირველად მოხდა.**

მართლაც, ხუმრობა საქმე ხომ არაა, ევროპის ლიგის ნახევარფინალში 28 აპრილსა და 12 მაისს ითამაშებენ: „ბრაგა“ – „ბენფიკა“ და „პორტუ“ – „ვილიარეალი“. საინტერესოა, როგორ წინააღმდეგობას გაუწევს ლუზიტანიურ ტრიოს მეზობელი ესპანეთის ერთადერთი კლუბი.

რაც შეეხება განვლილი რაუნდის საპასუხო მატჩებს, ჰოლანდიური გუნდები წარმატებით შეუდგნენ სარევანშო ოპერაციების განხორციელებას და დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს და ასპარეზობას გამოეთიშნენ.

დავძენთ, რომ ამჯერად პარტნიორებს ვერ დაეხმარნენ მოსკოველთა ტრავმირებული ქართველი ლეგიონერი ჯანო ანანიძე და კიეველთა დისკვალიფიცირებული ბომბარდირი ანდრეი შევჩენკო.

**გაუწყებთ გოლების სიმრავლით გამორჩეული შეხვედრების შედეგებს:**

„სპარტაკი“ – **„პორტუ“** 2:5 (1:5ძ, **„ბრაგა“** – „დინამო“ (კიევიძ 0:0 (1:1ძ, „ეინდჰოვენი“ – **„ბენფიკა“** 2:2 (1:4ძ, „ტვენტე“ – **„ვილიარეალი“** 1:3 (1:5ძ.

**ვიტალი ჯაფარიძე**



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ რას ვჭამთ?

# როცა თევზი გვწამლავს?



**ცოტაა ხალხი, ვისაც თევზი არ უყვარს. მით უფრო, რომ ყველამ იცის: თევზი ფოსფორისა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამინომჟავების შეუცვლელი წყაროა. თუმცა ამ ბოლო დროს ბაზრებსა და დიდ მაღაზიებში ისეთი თევზპროდუქტები გამოჩნდა, რომელთაგან ვარგისის ამორჩევა სათანადო ცოდნის გარეშე საკმაოდ რთული საქმეა. თანაც წლის ცხელი დროც კარს მოგვადგა, როცა მაღაზიაში ან ბაზარზე თევზის ყიდვა მაინცდამაინც რეკომენდებული არ არის.**

ამჟამად სუპერმარკეტებად მონათლული ადრინდელი გასტრონომების დახლებზე უამრავი შესახედად ლამაზი, ჩასუქებული თევზია გამოფენილი. თუმცა, **საქმეში ჩახედული ხალხი ირწმუნება, რომ ასეთი „ჩაპუტკუნება“ მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის მცდელობის პირველი ნიშანია! ამას იმით ხსნიან, რომ ბუნებაში თევზი, ფაქტობრივად, არასოდეს არ არის იმგვარად მკვეთრი ვარდისფერი, როგორიც ჩვენში დახლებზე ან ვიტრინებში დაწყობილი, ვთქვათ, ორაგულია.** ბუნებრივად გაზრდილ კალმახის ან ორაგულის, გნებავთ კობრის ხორცი ბაცი ვარდისფერია, ერთობ შეუხედავი. ის მკვეთრი ვარდისფერი კი, რომელიც ამჟამად მაღაზიებში თუ ბაზრებში გამოტანილ თევზს აქვს, **ქიმიური შეღებვის შედეგია.**

სპეციალისტები გვირჩევენ, რომ იმის დასადგენად, შეღებილია თუ არა თქვენს მიერ საყიდლად შერჩეული თევზი, საჭიროა მისი საგულდაგულოდ დათვალიერება. **ჩვეულებრივ თევზის ხორცი არაერთგვაროვანია, მას თეთრი ძარღვები აქვს, ხოლო „ქიმიურის“ ხორცი ერთგვაროვნად ვარდისფერია.**

მომხმარებლისთვის მეორე საფრთხე **ჰორმონებით გამოკვებილი თევზია.** თანამედროვე წარმოებაში მას საგანგებო ხელოვნურ საკვებს აძლევენ, რის შედეგად თევზი საფუარივით იბერება. ამიტომ, **მყიდველი უნდა მოერიდოს ზედმეტად „ჩაპუტკუნებული“ და მოკლეფარფლიანი თევზის შეძენას, რადგან ეს ნიშნები იმას მოწმობს, რომ ხელოვნურ აუზში თევზი არც კი დაცურავდა და ადგილზე „დგომით“ მხოლოდ წონაში იმატებდა.**

ერთი შეხედვით, ამდენ ტვინის ჭყლეტას თევზის ფილეს ყიდვა სჯობს – იგი უფრო იაფია და დამუშავებაც აღარ სჭირდება, რადგან ფხა გამოცლილი აქვს. არადა, აღმოჩნდა, რომ **ასეთი თევზი დაუმუშავებელზე ბევრად სახიფათო ყოფილა. თურმე თევზის ფილეს ტყავს, ფარფლებს, ძარღვებსა და ფხას ხელით კი არა, საწარმოო მეთოდით აცილებენ: მათ ან მჟავით ხსნიან, ანდა ქსოვილების დამარბილებელ ინტენსიფიკატორში ალბობენ.**

ამავე დროს თევზის ფილეს შეძენისას საკმაოდ რთულია იმის დადგენა, თუ რომელი თევზის ფილეს ყიდულობთ – ვთქვათ, ეს ძვირფასი პალტუსია თუ იაფფასიანი მინტაი? მრავალ ქვეყანაში ჩატარებული გამოკვლევებით გაირკვა, რომ ამ შემთხვევაში ფალსიფიცირებულია პროდუქციის მთელი მოცულობის სამი მეოთხედი (აქვე აღვნიშნავთ, რომ მსგავსი გამოკვლევა საქართველოში საგანგებოდ არავის ჩაუტარებია, მაგრამ ზოგადად სასურსათო ბაზარზე არსებულ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩვენში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია!

თევზის სტაჟიანი მოყვარულები იმასაც ამტკიცებენ, რომ **სასურველია ყიდვისას იგი დაყნოსოთ – შემთხვევით ხორცს ნიშადურის ან ამიაკის სუნი ხომ არ ასდის? საქმე ის არის, რომ არაკეთილსინდისიერი თევზით მოვაჭრეები ამ ქიმიკატებით ხშირად უვარგისი პროდუქციის „რეანიმირებას“ ცდილობენ. გარდა ამისა, ერთმანეთისგან განსხვავებულია თევზის გაყინვის ხერხებიც: მაგალითად, ზოგიერთი კომპანია საამისოდ ქლორის შემცველ საყინულე აგენტებს იყენებს. ამიტომ, როცა თევზის ფილეს გაალღობთ, თითი დააჭირეთ: თუ ამ დროს ბევრი წყალი გაუვიდა, ხორცი კი სველ ბამბას დაემსგავსა, ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოებისას სითხის დამჭერ დანამატებს, სხვებზე ხშირად პოლიფოსფატებს იყენებდნენ.** არაკეთილსინდისიერი მწარმოებლები ამ დროს თევზს ჯერ წყალში ალბობენ, შემდეგ კი ის სწრაფად გადააქვთ პოლიფოსფატებიან ხსნარში, რის შედეგად ამ ხერხით დამუშავებული ფილე 25-30 პროცენტ ეგრეთ წოდებულ „შიდა“ წყალს შეიცავს.

თქმა არ უნდა: გარდა იმისა, რომ თევზაობა საკუთარი სუფრის ამ უგემრიელესი პროდუქტით გამდიდრების საუკეთესო საშუალებაა, ის, ასევე, დასვენების საუცხოო, სხვებისგან გამორჩეული ხერხია, თანაც წლის თბილ დროში, რომელიც კარსაა მომდგარი. მაგრამ მათ, ვისაც თევზაობა ნაკლებად იზიდავს, ანდა საამისო საშუალება არ აქვს, ზემოაღნიშნული რჩევების გამოყენება, ვფიქრობთ, სიკეთეს მოუტანს. ისე, კაცმა რომ თქვას, მათი გათვალისწინება არც გამოცდილ მეთევზეებს აწყენთ.

**დალი ხუნდაძე**

◉ სენსაციური კვლევები

# შოპენის ჰალუცინაციები ეპილეფსიის ნიშანიაო, მიაჩნიათ ექიმებს

**შოპენის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაწარმოები სამგლოვიარო მარშია**

**ფრედერიკ შოპენს, რომელსაც მთელი თავისი შედარებით ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ჰალუცინაციები ჰქონდა, ეპილეფსია აწუხებდა, მიაჩნიათ სპეციალისტებს.**



დიდი პოლონელი კომპოზიტორის ჯანმრთელობა ყოველთვის სუსტი იყო: ის 1848 წელს 39 წლის ასაკში გარდაიცვალა ფილტვების დაავადების შედეგად, რომელიც მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ განსაზღვრეს, როგორც მუკოვისციდოზი, ანუ კისტოზური ფიბროზი.

მაგრამ, ამბობენ ახლა ესპანელი ექიმები, შეიძლება მომხდარიყო ისე, რომ დღემდე უგულებელყოფილია სხვა ავადმყოფობა, რაც შოპენს აწუხებდა. მათი აზრით, საკითხი შეეხება ეპილეფსიის ერთ-ერთ ფორმას.

წერილებში, რომლებსაც წერდა თავად შოპენი, აგრეთვე მისი ახლობელი ადამიანების მოგონებებში აღწერილია საგანგაშო ხილვები, რომლებიც იჭრებოდნენ მის ცხოვრებაში.

**მოჩვენებანი და საშინელებანი**

**მისი საყვარელი ჟორჟ სანდი, მაგალითად, ახსენებდა შემთხვევას, როდესაც შოპენს ჰქონდა ვიზუალური ჰალუცინაციები. ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა მონასტერში მისვლის დროს, რომელიც მას „საშინელებებითა და მოჩვენებებით გადატვირთულად“ მოეჩვენა.**

ეჭვი გვეპარება, რომ მორიგი დიაგნოზი, რომელსაც ჩვენ დავუმატებთ კომპოზიტორის დაავადებათა ისედაც უზარმაზარ სიას, დაგვეხმაროს გავერკვეთ ფრედერიკ შოპენის ხელოვნების სამყაროში. მაგრამ მიგვაჩნია, იმის ცოდნა, რომ მას სჭირდა ეს დაავადება, დაგვეხმარება გამოვყოთ რომანტიკული ლეგენდა რეალობისგან და ახალი შუქი მოვფინოთ ამ ადამიანის შეცნობასა და მის ცხოვრებას.

**ესპანელი ექიმები**

**თავად შოპენი ჟორჟ სანდის ქალიშვილისთვის გაგზავნილ წერილში აღწერს მომენტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1848 წელს მისი სონატა № 2 „სი-ბემოლ მინორის“ წარმოდგენის დროს. ეს იყო ინგლისში, კერძო სალონში. როდესაც მან რაღაც ქმნილებები დაინახა, რომლებიც პირდაპირ მისი ფორტეპიანოდან გაჩნდნენ, ის ოთახიდან გარეთ გავარდა.**

ჰალუცინაციები შეიძლება გაჩნდნენ რამდენიმე სამედიცინო და ფსიქიატრიული მოშლილობის, მათ შორის შიზოფრენიის დროსაც, მაგრამ ჩვეულებრივად ისინი ღებულობენ ხმის და არა მოჩვენებების ფორმას. და შოპენის მოჩვენებების ყველაზე საალბათო განმარტება, მიაჩნიათ ესპანელ სპეციალისტებს, ეს არის მისი ეპილეფსიის განსაკუთრებული სახეობა, რომელსაც საფეთქლის ეპილეფსია ეწოდება.

ამ დაავადების პაციენტები ხშირად შეტევების დროს ხედავენ უცნაურ რამეებს და განიცდიან ძალიან მწვავე შეგრძნებებს, რომლებიც გვანან იმას, რასაც შოპენი აღწერს.

**დაავადებათა სია**

**თუმცა, ექიმები აღიარებენ, რომ კომპოზიტორი ღებულობდა ოპიუმზე დამზადებულ ნარევებს, რომლებიც ეხმარებოდნენ მას ფიზიკური ტკივილების მოხსნაში. მაგრამ ისინი უარყოფენ ვარაუდს იმის შესახებ, რომ სწორედ ამ ნარევებს შეეძლოთ გამოეწვიათ ჰალუცინაციები, მიუთითებენ შოპენის ხილვების ხარისხს და იმას, რომ ეს ხილვები მას უჩნდებოდა დიდი ხნით ადრე მანამდე, სანამ ის დაიწყებდა ამ საწამლავების მიღებას.**

შესაძლო მიზეზების სიიდან ისინი გამორიცხავენ შაკიკსაც აურასთან ერთად, ვინაიდან შოპენის ხილვები იყო მეტად ხანმოკლე.

ექიმი მანუელ ვასკეს კარუნჩო, რადიოლოგი ესპანეთის ჩრდილო-დასავლეთის ქალაქ ლუგოს სპეციალიზებული კლინიკიდან და მისი კოლეგები აღიარებენ: ზუსტი დიაგნოზის დასმა ანალიზის თანამედროვე მეთოდების, თავად პაციენტების გამოკვლევის შესაძლებლობის გარეშე რთულია. მაგრამ ამბობენ: ეტყობა, ექიმებმა ვერ ამოიცნეს შოპენის მტანჯავი დაავადება იმიტომ, რომ მაშინ ეპილეფსიის შესახებ ძალიან ცოტა რამე თუ იცოდნენო.

**„ეჭვი გვეპარება, რომ მორიგი დიაგნოზი, რომელსაც ჩვენ დავუმატებთ კომპოზიტორის დაავადებათა ისედაც უზარმაზარ სიას, დაგვეხმარება შევიცნოთ ფრედერიკ შოპენის ხელოვნების სამყარო, – ამბობენ მკვლევარები. – მაგრამ მიგვაჩნია, რომ იმის ცოდნა, თუ რა დაავადება ჰქონდა მას, დაგვეხმარება გამოვყოთ რომანტიკული ლეგენდა რეალობისგან და ახალი შუქი მოვფინოთ ამ ადამიანის შეცნობასა და მის ცხოვრებას“.**

**მიშელ რობერტსი,**
**„ბი-ბი-სი“-ს მიმომხილველი ჯანმრთელობის საკითხებში.**

◉ ინფორმაცია

## ოქროს ფასი გაიზარდა

**ოქროზე** მსოფლიო ფასებმა ახალი რეკორდი მოხსნა. აღნიშნული კი ჩინეთში ინფლაციის 5,4 %-ის დონეზე დაფიქსირებით იყო გამოწვეული. ოქროს ფასი 0,4 %-ით გაიზარდა და 1 უნციაზე 1479,35 აშშ დოლარი შეადგინა.

ნიუ-იორკის ბირჟაზე, ფუჩერსების ღირებულება 1 უნციაზე 1480,50 აშშ დოლარით განისაზღვრა.

ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო და ასევე, ნავთობის ფასების მოსალოდნელი ზრდის მიზეზით, რამაც შეიძლება მსოფლიო ეკონომიკურ ზრდაზე მორიგი დარტყმა გამოიწვიოს, ინვესტორები უპირატესობას ოქროს დაგროვებას ანიჭებენ.

2010 წლის განმავლობაში, ოქროს ფასი 30 %-ით გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ ძვირფას მეტალზე ფასების ზრდა ბოლო 10 წლის განმავლობაში დინამიურ ხასიათს იღებს.

ჯი-ეიჩ-ენი

კომპანია „გეოპლანტის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ რევაზ და მურთაზ ნარმანიებს დედის ქალბატონ

მარგო ივარდავა-ნარმანიას

გარდაცვალების გამო.

ფრიდონ და დავით ინჯიები ოჯახით უსამძიმრებენ მიხეილ გაბისონიას მამის

მიხეილ გაბისონიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

## განცხადება

2011 წლის 17 მაისს დღის 11 საათზე დანიშნულია სააქციო საზოგადოება „ყვარლის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1ძ 2010 წლის წლიური ბალანსის განხილვა.
2ძ სხვადასხვა საკითხები.

სააქციო საზოგადოება „ყვარელის“ ადმინისტრაცია

მისამართი: ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის ქ. №72.

ნომრის კარიკატურა



– სად მიგაქვს ბაბუ, სკამები?
– პარლამენტში გასაყიდად, შვილო, ამბობენ სკამებისთვის ერთმანეთს ხოცავენო...

ამირან ერაძის ნახატი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ სულიერება

# ლაზარეს შაბათი — ქართული ენის დღესასწაული

**16 აპრილს საქართველოს სამოციქულო ეკლესია ლაზარეს შაბათს აღნიშნავს. ყოველი ერი თავის ენაზე ადიდებს ღმერთს, მაგრამ არც ერთ ერს არ მიუნიჭებია საკუთარი ენისთვის სიცოცხლე მხოლოდ ღვთის დიდებისთვის.** ქართველი ერი აქებს და განადიდებს თავის ენას ღვთის სადიდებლად და სწამს, რომ ღმერთი აკურთხებს მაკურთხეველთა მისთა, სჯერა, რომ ქართული ენა ღვთაებრივი ცეცხლისგან ანთებული ჩირაღდანივით ნათლის მომფენიც იქნება და ბოროტების დამწველიც.

1985 წლიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა წმინდა სინოდის განჩინებით ქართული ენის აღნიშვნის დღედ განაჩინა ლაზარეს შაბათი. მართლმორწმუნე ქართველმა ერმა ამით აღიარა, არასდროს უღალატოს მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას და უფლის მიერ გაცოცხლებულ ლაზარეს მსგავსად, მოწმედ დაუდგეს ქრისტეს ღვთაებრიობას.

# ბზობა-ბაიაობის კვირა — იესო ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში



**17 აპრილს საქართველოს სამოციქულო ეკლესია ზეიმობს მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლას, რასაც ქრისტიანები ბზობას, ანუ ბაიაობას უწოდებენ. ბზობა ყოველთვის ემთხვევა ბრწყინვალე აღდგომის წინა კვირა დღეს.**

მაცხოვრის იერუსალიმში შესვლას შემდეგნაირად აღწერს იოანე მახარებელი: „ერი მრავალი, რომელი — იგი მოსრულ იყვნენ დღესასწაულსა მას რამეთუ ესმა, ვითარმედ იესო მოვალს იერუსალიმს, მოიღეს რტოები დანაკის კუდთაგან და განვიდეს მიგებებად მისა, ღაღადებდეს და იტყოდეს: ოსანა! კურთხეულ არს მომავალი, სახელისა უფლისათა, მეუფე ისრაელისაო“!

მეფის სატახტო ქალაქში შესვლას ჰგავდა მაცხოვრის შესვლა იერუსალიმში. იერუსალიმისკენ მიმავალს ხალხი სამოსელს უფენდა გზაზე, ზოგს კი პალმის (ბზის) რტოები ეკავა ხელში — ყოველი მხრიდან ისმოდა ღაღადისი: **„ოსანა ძესა და ღვთისსა, კურთხეულ არის მომავალი სახელითა უფლისაითა! ოსანა, რომელი ხარ ცათა შინა“.**

**გიული ლიპარტია**

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით. 868 838 858

◉ ამინდი

# ციფრებსა და ფაქტებში



**ჯერ კიდევ ჰიპოკრატე გვაფრთხილებდა: „იყავი განსაკუთრებით ყურადღებიანი ამინდის ცვლილების დროს, ამ პერიოდში ერიდე სისხლის დენას, დაწვას და ხელს ნუ მოჰკიდებ სკალპელს“.**

ამინდის მკვეთრი ცვლილების დროს 10 პროცენტით იზრდება სიკვდილიანობა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებში.

**მაგნიტური ქარიშხლები** განსაკუთრებით ცუდად გადააქვთ გულით დაავადებულებს, ზედმეტი წონის და ვეგეტო-სისხლძარღვთა სისტემის მოშლილობის ადამიანებს.

ამინდის მკვეთრი ცვლილების დროს უნდა შევამციროთ ფიზიკური აქტივობა. სპორტული მეცადინეობები ამ პერიოდში უმჯობესია გადადოთ.

**რეაქცია ამინდის ცვალებადობაზე სხვადასხვაგვარია:** თავბრუსხვევიდან, სწრაფი დაღლილობიდან, განგაშის გრძნობიდან, ტკივილებიდან გულის არეში ან სისხლძარღვებში სხვადასხვა ძირითად დაავადებათა გამწვავებამდე, სისხლძარღვთა კრიზამდე და მიოკარდიუმის ინფარქტამდე.

**ამინდის მკვეთრ ცვლილებაზე ქალები ორჯერ უფრო ხშირად რეაგირებენ, ვიდრე მამაკაცები.**

ინფარქტის მიოკარდიუმის 80 პროცენტი მოდის იმ დღეებზე, როდესაც ამინდი მკვეთრად იცვლება.

**თავის ტკივილი ხშირად ხდება ქექა-ქუხილის ფონზე.** ეს ბუნებრივი მოვლენა ასევე ზრდის ასთმის განვითარების რისკს.

**ჰაერის 16-18 გრადუსი ცელსიუსით ადამიანისთვის ყველაზე კომფორტული ტემპერატურაა 50 პროცენტი შედარებითი ტენიანობის დროს.**

ჰაერის საშუალო სადღეღამისო ტემპერატურის ცვლილება 4 გრადუსზე მეტად ითვლება მკვეთრ ცვლილებად. იანვრის ერთი ღამის განმავლობაში ტემპერატურის მკვეთრ აწევას მინუსიდან პლუსამდე უამრავი ადამიანის გრიპით დაავადებამდე მივყავართ.

**ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი გრძნობს ამინდის მომავალ ცვლილებას. წინა დღით ისინი გრძნობენ ტკივილებს სისხლძარღვებში, გულის არეში, თავის ტკივილს...**

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6672 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3998 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7179 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9144 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.6346 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1479 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1473 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0749 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5928 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +10 — +16 |
| ქუთაისი. | +9 — +14 |
| ბათუმი. | +9 — +13 |
| ზუგდიდი. | +8 — +15 |
| თელავი. | +10 — +15 |

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 18 აპრილს**

◉ ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

**● ნაპოლეონ ბონაპარტის ცოლი ჟოზეფინა ახალგაზრდა მამაკაცების მოყვარული გახლდათ. იგი ნაპოლეონზე უფროსი იყო და მთელი ცხოვრება თავისუფალი ქცევით გამოირჩეოდა. ბონაპარტის ეგვიპტეში ლაშქრობისას, ჟოზეფინას არც ერთი წარმოსადეგი ჭაბუკი არ გაუშვია ხელიდან. ნაპოლეონს დროდადრო სწერდნენ მისი ღალატის შესახებ, მაგრამ ამაოდ; პარიზში დაბრუნებულ ქმარს ჟოზეფინამ ცრემლებითა და ალერსით მოულბო გული და დაარწმუნა, რომ მისთვის არასდროს უღალატია.**

**● იმის გასაგებად, თუ როგორ მიიღო მკითხველმა მისი ნაწარმოები, ვიქტორ ჰიუგომ რედაქტორს ლაკონური წერილი გაუგზავნა და ეს იყო: „?“ რედაქტორმა ასევე ლაკონურად უპასუხა ჰიუგოს: „!“**

**● ისააკ ნიუტონის საფლავს ამშვენებს ეპიტაფია: „ეს მარმარილოს ლოდი აღიარებს მას მოკვდავად მაშინ, როცა დრო, ბუნება და ზეცა მის უკვდავებას ადასტურებენ“.**

**● გამოჩენილ მხედართმთავარი ჰანიბალი 9 წლისა იყო, როდესაც მამამ ტაძარში მიიყვანა, საღმრთო ცეცხლზე ხელი გააჩერებინა და დააფიცა, რომ მთელი სიცოცხლე რომაელთა დაუძინებელი მტერი იქნებოდა.**

**● უილიამ შექსპირის მშობლიური ქალაქია სტრატფორდი (დიდი ბრიტანეთი).**

**● დემოსთენე ენაბლუ იყო და გამუდმებით ცდილობდა, მეტყველება გაეუმჯობესებინა, რისთვისაც იგი ზღვის სანაპიროზე მიდიოდა, პირში კენჭებს იდებდა და ამგვარად ლაპარაკში ვარჯიშობდა.**

**● ადამიანის ერთ-ერთ გრძნობას — ეჭვიანობას შექსპირმა „მწვანეთვალება ურჩხული“ უწოდა.**

**● პლატონის მსგავსად ჰიტლერიც ამტკიცებდა, რომ ადამიანთა ბედი ვარსკვლავების განლაგებაზეა დამოკიდებული. მან თავის მთავარ კონსულტანტ-ასტროლოგს მათემატიკურ, ასტრონომიულ და ფიზიკურ მეცნიერებათა სრული მფლობელის მანამდე გაუგონარი ტიტული უბოძა და ეს გახლდათ წოდება — ფიურერი.**

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

◉ კადრი



◉ ანეკდოტები

— რა დაემართა ვასკას, რად არ დადის ამ ბოლო დროს სათევზაოდ?

— იგი ხომ დაქორწინდა! სხვათა შორის იმ გოგოზე, შენ რომ ამოათრიე მდინარიდან და გადაარჩინე.

— ეს კარგი, მაგრამ სათევზაოდ რატომ არ დადის?

— ახლა უკვე წყლისა ეშინია!

* * *

გაეღვიძა ნამთვრალევ ივანს. პირი გამშრალი აქვს, თავი უსკდება. ხედავს, კედელზე წარწერაა — „ხვალ არ დავლევ!“

— კიდევ კარგი, რომ დღეს შემიძლია დალევა.



* * *

1961 წელია. ლექტორი კოლმეურნეობის კლუბში სკკპ ახალ პროგრამას განმარტავს. უცებ დარბაზიდან შეკითხვა ისმის:

— კი, მაგრამ თუ კომუნიზმი მთელს მსოფლიოში გაიმარჯვებს, ხორბალს ვისგან ვიყიდით?

* * *

— მამაჩემს სურს, რომ ახლოს გაგიცნოს, — ეუბნება გოგო საქმროს.

— შენ რა, დამცინი? ამას როგორ მეუბნები, როცა გუშინ ორი საათი ნაჯახით დამდევდა მთელს რაიონში?

— სულაც არ დაგცინი. მას ძალიან მოეწონე. იგი გრძელ დისტანციაზე სირბილში ჩემპიონია.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24